**დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის**

**ოქმი № 2**

ქ. დმანისი 27 თებერვალი 2026 წელი

სხდომის თავმჯდომარე დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

**სხდომას ესწრებოდა:**

1. პაატა ყულიაშვილი
2. რამიზ რამაზანოვი
3. აზერ ალიევი
4. სოფიო ასლამაზაშვილი
5. ლერი ბერუაშვილი
6. მურაზი აბრამიშვილი
7. მაკა ოკმელაშვილი
8. მაკა ასლანიშვილი
9. ილია სარსევანიძე
10. ემზარი პეტრიაშვილი
11. ნოდარი ადუაშვილი
12. დავით დაუთაშვილი
13. გიორგი გურჩიანი
14. სტამბულ ისაევი
15. ქამრან მამედოვი
16. შალვა ღამბარაშვილი
17. შოთა აკობაშვილი
18. გამლეტ ისმაილოვი
19. თეიმურაზ მენაბდიშვილი
20. ირაკლი მუჯირიშვილი
21. აიდინ შარიფოვი
22. შაქირ ჩერპანოვი
23. ლომა გადრანი
24. ლია კავლელაშვილი
25. გოჩა გოჩაძე
26. ვაგიფ მუსაევი
27. ალექსანდრე ნონიაშვილი

**სხდომას აგრეთვე ესწრებოდა :** მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი თემურ ტატულაშვილი, მერიის იურიდიული განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის

ხელმძღვანელი გიორგი გრიგალაშვილი, მერიის ეკონომიკის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნატო სამადაშვილი, მერიის ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი ლევან მანთაშაშვილი, საკრებულოს აპარატის უფროსი თინათინ ციხელაშვილი.

სხდომის მდივანი: ტარიელ პაკელიანი

**სხდომა დაიწყო: 12. 00**

**სხდომა დასრულდა: 12. 30**

სხდომის თავმჯდომარემ პაატა ყულიაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი, რომელსაც ერთხმად დაუჭირეს მხარი და მიმართა მომხსენებლებს გაეცნოთ საკითხები

## დღის წესრიგი

| | |
|---|---|
| 1 | **დადგენილება:** „დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე |
| **მომხსენებელი:** | **თ.ტატულაშვილი** |
| 2 | **დადგენილება:** „დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე |
| **მომხსენებელი:** | **გ.გრიგალაშვილი** |
| 3 | **განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის შეთანხმების შესახებ |
| **მომხსენებელი:** | **გ.გრიგალაშვილი** |
| 4 | **განკარგულება:** ერთობლივი საქმიანობის განხორციელების მიზნით, დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის საბიუჯეტო სახსრების ბოლნისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრებთან გაერთიანების შესახებ |
| **მომხსენებელი:** | **მ.ოკმელაშვილი** |
| 5 | **განკარგულება:** „დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის სოციალური ქვეპროგრამების დამტკიცების და განხორციელების წესების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის Nგ-109.109253582 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე |
| **მომხსენებელი:** | **მ.ოკმელაშვილი** |
| 6 | **განკარგულება:** „დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად საწვავის ხარჯის ყოველთვიური ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 12 ნოემბრის N:გ-109.109253165 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე |
| **მომხსენებელი:** | **ს.ასლამაზაშვილი** |

| | |
|---|---|
| 7 | **განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „მაგთიკომს“ შორის 2018 წლის 31 ივლისს დადებული „იჯარის ხელშეკრულება N67“-ში ცვლილების შეტანის შესახებ დმანისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე |
| | **მომხსენებელი:** **ნ.სამადაშვილი** |
| 8 | **განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შპს „მაგთიკომისათვის” ქ. დმანისში, წმ.ნინოს ქუჩა №56-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობის სახურავზე არსებული ფართის იჯარით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ |
| | **მომხსენებელი:** **ნ.სამადაშვილი** |
| 9 | **განკარგულება:** „დმანისის მუნიციპალიტეტში 2026 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 23 იანვრის Nგ-109.109260231 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ |
| | **მომხსენებელი:** **ლ.მანთაშაშვილი** |
| 10 | **განკარგულება:** სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დმანისის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხის განაწილების შესახებ |
| | **მომხსენებელი:** **ლ.მანთაშაშვილი** |
| 11 | **განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წელს გაწეული მუშობის შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების თაობაზე |
| | **მომხსენებელი:** **კ.მურადაშვილი** |

**1. მომხსენებელმა: თემურ ტატულაშვილმა** საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1) საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 დეკემბრის #2260 „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ განკარგულების შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტს გამოეყო 142,2 ათასი ლარი, რაც აისახოს „შემოსულობების“ „კაპიტალური ტრანსფერი“-ს მუხლში და შესაბამისად „გადასახდელები“-ს ორგანიზაციული კოდი 04_03 „საჯარო სკოლების დაფინანსება“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში, და აღნიშნული მუხლი განისაზღვროს 142,2 ათასი ლარით (სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი);
2) ა(ა)იპ „დმანისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სამსახური“-ს 2026 წლის 28 იანვრის #33-1082602846 წერილის და დმანისის მუნიციპალიტეტის მერის 108.108260296

ბრძანების საფუძველზე, ორგანიზაციული კოდი 04_01_01 ა(ა)იპ „დმანისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სამსახური“-ს „სუბსიდიები“-ს მუხლიდან „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში გადატანილ იქნეს 8,4 ათასი ლარი და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 11,8 ათასი ლარისა განისაზღვროს 20,2 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

3) ა(ა)იპ „დმანისის კულტურის და ხელოვნების ცენტრი“-ს 2026 წლის 29 იანვრის #31-1082603010 წერილის და დმანისის მუნიციპალიტეტის მერის #108.108260304 ბრძანების საფუძველზე, ორგანიზაციული კოდი 05_02_01 ა(ა)იპ „დმანისის კულტურის და ხელოვნების ცენტრი“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლიდან „სუბსიდიები“-ს მუხლში გადატანილ იქნეს 4,0 ათასი ლარი და აღნიშნული მუხლი 1297,7 ათასი ლარისა განისაზღვროს 1301,7 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

4) დმანისის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 16 თებერვლის #108.108260471 ბრძანების შესაბამისად, ორგანიზაციული კოდი 02_07 „საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლიდან „სხვა ხარჯები“-ს მუხლში გადატანილ იქნეს 43,0 ათასი ლარი და აღნიშნული მუხლი განისაზღვროს 43,0 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

5) ა(ა)იპ „დმანისის სერვის ჯგუფი“-ს 2026 წლის 13 თებერვლის #34-1082604418 (მერის ბრძანება #108.1082604811) საფუძველზე, ორგანიზაციული კოდში 03_01_01 ა(ა)იპ „დმანისის სერვის ჯგუფი“-ს „სუბსიდიები“-ს მუხლიდან „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში გადატანილ იქნეს თანხა 20,0 ათასი ლარის ოდენობით და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 10,0 ათასი ლარისა განისაზღვროს 30,0 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

ამრიგად, დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა განისაზღვროს **36 640,6** ათასი ლარის ოდენობით.

**აზრი გამოთქვეს:**

**დაადგინეს:** დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი

**მომხრე**: 26

**წინაღმდეგი:** 1 - ალექსანდრე ნონიაშვილი

**2. მომხსენებელმა: გიორგი გრიგალაშვილმა** საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

შევიდეს ცვლილება დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხაში და გაუქმდეს 2 (ორი) ერთეული ვაკანტური სპეციალისტის შტატი ადმინისტრაციულ ერთეულში, კერძოდ სარკინეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ახის სპეციალისტის და პანტიანის ადმინისტრაციულ ერთეულში დალარის სპეციალისტის შტატი.

შესაბამისად, დადგენილებით დამტკიცებული „დმანისის მუნიციპალიტეტის მერიაში ადმინისტრაციულ ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობები“ (დანართი N2) ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

*დანართი №2*

| დმანისის მუნიციპალიტეტის მერიაში ადმინისტრაციულ ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობები | | | |
|---|---|---|---|
| **თანამდებობა** | **საშტატო რიცხოვნობა** | **თანამდებობრივი სარგო** | **კოეფიციენტი** |
| მერის წარმომადგენელი ადმინისტრაციულ ერთეულში | 17 | 2720 | 1.70 |
| სპეციალისტი ადმინისტრაციულ ერთეულში | 27 | 2240 | 1.40 |

დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის პირველი მარტიდან.

**აზრი გამოთქვეს:**

**დაადგინეს:** დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი

**მომხრე**: 26

**წინაღმდეგი:** 1 - ალექსანდრე ნონიაშვილი

**3. მომხსენებელმა: გიორგი გრიგალაშვილმა** საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის შეთანხმების შესახებ

დმანისის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა:

ა) განსაზღვროს არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობა 21 (ოცდაერთი) საშტატო ერთეულის ოდენობით.

ბ) ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული საშტატო ერთეულის რიცხოვნობის დაცვით, იგივე ქვეპუნქტით წარმოდგენილ დანართში, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესების გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში შეცვალოს საშტატო ერთეულის პოზიციის დასახელება.

ამ განკარგულების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის შეთანხმების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის Nგ-109.109253584 განკარგულება.

**აზრი გამოთქვეს:**

**დაადგინეს:** დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

**მომხრე**: 26

**წინაღმდეგი:** 1 - ალექსანდრე ნონიაშვილი

**4. მომხსენებელმა: მაკა ოკმელაშვილმა** საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ერთობლივი საქმიანობის განხორციელების მიზნით, დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის საბიუჯეტო სახსრების ბოლნისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრებთან გაერთიანების შესახებ

დმანისის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა ა(ა)იპ „რაგბის კლუბი ბოლნისი"-ს მიერ (ს/კ 425358739) დმანისისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ახალგაზრდების მომზადებისა და რაგბის ტურნირებში მონაწილეობისათვის ფინანსური

სახსრების გამოყოფის მიზნით, ბოლნისის მუნიციპალიტეტთან 2026 წლის საბიუჯეტო სახსრების გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე.

**აზრი გამოთქვეს:**

**დაადგინეს:** დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

**მომხრე**: 26

**წინაღმდეგი:** 1 - ალექსანდრე ნონიაშვილი

**5. მომხსენებელმა: მაკა ოკმელაშვილმა** საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის სოციალური ქვეპროგრამების დამტკიცების და განხორციელების წესების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N№-109.109253582 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის სოციალური ქვეპროგრამების დამტკიცების და განხორციელების წესების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N№-109.109253582 განკარგულების პირველი პუნქტის „რ" ქვეპუნქტით დამტკიცებული ,,ტრანსპორტით მომსახურების მუნიციპალური ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 06)" დანართი N17 ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

**„ტრანსპორტით მომსახურების მუნიციპალური ქვეპროგრამა**
**(პროგრამული კოდი 06 02 06)**

**მუხლი 1. ქვეპროგრამის მიზანი**

მოსახლეობის სოციალურ – ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

**მუხლი 2 . ქვეპროგრამის ამოცანა**

ქვეპროგრამით მოსარგებლე პირებისათვის მგზავრობის უზრუნველყოფა და ფინანსური სახსრების დაზოგვა.

**მუხლი 3. პროგრამის მოსარგებლეები**

ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან:

ა) დიალიზის საჭიროების მქონე პირები (რომლებიც სარგებლობენ დმანისის მუნიციპალიტეტის ,,დიალიზის საჭიროების მქონე პირების დახმარების 2026 წლის მუნიციპალური პროგრამით");

ბ) ,,დმანისის დღის და ადრეული განვითარების ცენტრის" ბენეფიციარები;

გ) დმანისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობა.

**მუხლი 4. ტრანსპორტის გადაადგილების მიმართულება**

1. დიალიზის საჭიროების მქონე პირების ტრანსპორტირება - ქ. დმანისიდან - ქ. თბილისის და ქ. თბილისიდან - ქ. დმანისის მიმართულებით კვირაში ერთი დღე (საჭიროების შემთხვევაში კვირაში 2 დღე);

2. სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით ტრანსპორტის გამოყოფა მოხდეს საზოგადოებრივი მოთხოვნის გათვალისწინებით.

3. საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა მხარეში გამართულ კულტურულ, სოციალურ, სპორტულ და სხვა ღონისძიებებში ჩართულობისათვის ტრანსპორტით უზრუნველყოფა განხორციელდეს საჭიროების შესაბამისად.

4. სამუშაო დღეებში მოსახლეობის შიდა მუნიციპალური გადაადგილება განხორციელდეს შემდეგი მიმართულებებით და გრაფიკით:

ა) კვირაში ორი დღე - სოფელი დაგარახლო - ქ. დმანისის და ქ. დმანისი - დაგარახლოს მიმართულებით;

ბ) კვირაში ორი დღე - სოფელი ამამლო - ქ. დმანისის და ქ. დმანისი - ამამლოს მიმართულებით;

გ) კვირაში ექვსი დღე - სოფელი პატარა დმანისი - ქ. დმანისის და ქ. დმანისი - სოფელ პატარა დმანისის მიმართულებით;

დ) კვირაში ორი დღე - სოფელი მამულო ქ. დმანისის და ქ. დმანისი სოფელ მამულოს მიმართულებით;

ე) კვირაში სამი დღე - სოფელი ირგანჩაი ქ. დმანისის და ქ. დმანისი სოფელი ირგანჩაის მიმართულებით (ორშაბათს ორი რეისი, ოთხშაბათს ორი რეისი, პარასკევს ერთი რეისი)

ვ) კვირაში ორი დღე - სოფელი კიზილაჯლო ქ. დმანისი და ქ. დმანისი სოფელი კიზილაჯლოს მიმართულებით;

ზ)კვირაში ორი დღე - სოფელი იფნარი ქ. დმანისი, ქ. დმანისი სოფელი იფნარის მიმართულებით;

თ) კვირაში ერთი დღე - სოფელი გუგუთი ქ. დმანისი და ქ. დმანისი სოფელი გუგუთის მიმართულებით;

ი) კვირაში ორი დღე - სოფელი საფარლო ქ. დმანისი და ქ. დმანისი სოფელი საფარლოს მიმართულებით;

კ) კვირაში ერთი დღე სოფელი ლოქჭანდარი, ქ. დმანისი და ქ. დმანისი სოფელი ლოქჭანდარის მიმართულებით;

ლ)კვირაში ერთი დღე - სოფელი კამიშლო ქ. დმანისი და ქ. დმანისი სოფელი კამიშლოს მიმართულებით;

მ) კვირაში ერთი დღე - სოფელი კაკლიანი (აზერბაიჯანული), სოფელი ბოსლები, ქ. დმანისი და ქ. დმანისი, სოფელი ბოსლები, სოფელი კაკლიანი (აზერბაიჯანული) მიმართულებით;

ნ) კვირაში ორი დღე - სოფელი მაშავერა, ქ. დმანისი და ქ. დმანისი, სოფელი მაშავერას მიმართულებით;

ო) სასწავლო დღეებში - სსიპ ირგანჩაის საჯარო სკოლის ქართული სექტორის პედაგოგების ტრანსპორტირება ქ. დმანისი სოფელი ირგანჩაი და სოფელი ირგანჩაი ქ. დმანისის მიმართულებით.

5. სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ტრანსპორტირება:

ა) სასწავლო დღეებში 2 (ორი) ერთეული სატრანსპორტო საშუალებით სოფელი ახალი გოდაგდაგი - სოფელი ზემო კარაბულახი - ქვემო კარაბულახი - სარკინეთი და სოფელი სარკინეთი - ქვემო კარაბულახი - ზემო კარაბულახი-სოფელი ახალი გოდაგდაგის მიმართულებით (ორი რეისი);

ბ) სასწავლო დღეებში 2 (ორი) ერთეული სატრანსპორტო საშუალებით სოფელი ზემო ოროზმანი, სოფელი ქვემო ოროზმანი, სოფელი ვაკე, სოფელი ამამლო და სოფელი ამამლო, სოფელი ვაკე, სოფელი ქვემო ოროზმანი, სოფელი ზემო ოროზმანის მიმართულებით;

გ) სასწავლო დღეებში 1 (ერთი) ერთეული სატრანსპორტო საშუალებით სოფელი იაღუფლო, ქ. დმანისი და ქ. დმანისი, სოფელი იაღუფლოს მიმართულებით;

დ) სასწავლო დღეებში 1 (ერთი) ერთეული სატრანსპორტო საშუალებით სოფელი დალარი, ქ. დმანისი და ქ. დმანისი, სოფელი დალარის მიმართულებით.

6. ცალკეულ შემთხვევებში ტრანსპორტის გამოყოფა განხორციელდეს მერის ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის საფუძველზე;

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტში მითითებული შემთხვევის დაფინანსება განხორციელდეს მიღება - ჩაბარების აქტის საფუძველზე.

8. ქვეპროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება ამ ქვეპროგრამის შესაბამის კოდში განსაზღვრული თანხის ოდენობით.

**მუხლი 5. მოსალოდნელი შედეგები**

მოსახლეობის მიერ ტრანსპორტირებაზე დახარჯული თანხების შემცირება, შესაბამისად სოციალურ – ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება."

**აზრი გამოთქვეს:**

**დაადგინეს:** დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

**მომხრე**: 26

**წინააღმდეგი:** 1 - ალექსანდრე ნონიაშვილი

**6. მომხსენებელმა: სოფიო ასლამაზაშვილმა** საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად საწვავის ხარჯის ყოველთვიური ლიმიტის განსაზღვრის შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 12 ნოემბრის N:გ-109.109253165 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის ნატიგ ოვჩიევის 09 თებერვლის N:19/109260401-109 განცხადების შესაბამისად მისი კუთვნილი საწვავის ტიპი დიზელი-ევროდიზელი შეიცვალოს საწყავის ტიპით ბენზინი-პრემიუმი. შესაბამისად, განკარგულების პირველი პუნქტით დამტკიცებულ ცხრილში და მე-7 გრაფაში თანამდებობის პირთა რაოდენობა ექვსის ნაცვლად განისაზღვროს შვიდით, ხოლო, მე-8 გრაფაში ორის ნაცლად ერთით.

**აზრი გამოთქვეს:**

**დაადგინეს:** დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

**მომხრე**: 26

**წინააღმდეგი:** 1 - ალექსანდრე ნონიაშვილი

**7. მომხსენებელმა: ნატო სამადაშვილმა**საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „მაგთიკომს" შორის 2018 წლის 31 ივლისს დადებული „იჯარის ხელშეკრულება N67"-ში ცვლილების შეტანის შესახებ დმანისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, შეიტანოს ცვლილება დმანისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „მაგთიკომს" (ს/ნ 204876606) შორის 2018 წლის 31 ივლისს დადებულ „იჯარის ხელშეკრულება N67"-ში. კერძოდ, ერთი ერთეული ნაგებობის/კონსტრუქციის გამოყენებისთვის ყოველწლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს ხუთი ლარის ოდენობით, ჯამში 630 (ექვსასოცდაათი) ლარი წელიწადში.

**აზრი გამოთქვეს:**

**დაადგინეს:** დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

**მომხრე**: 26

**წინააღმდეგი:** 1 - ალექსანდრე ნონიაშვილი

**8. მომხსენებელმა: ნატო სამადაშვილმა** საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შპს ,,მაგთიკომისათვის'' ქ. დმანისში, წმ.ნინოს ქუჩა №56-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობის სახურავზე არსებული ფართის იჯარით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, დმანისის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ქ. დმანისში, წმინდა ნინოს ქ. N56-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო

დანიშნულების 4538.00 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 82.01.46.081) განთავსებული 2035.00 კვ.მ შენობა-ნაგებობის სახურავზე არსებული 3.00 კვ.მ ფართი 1(ერთი) წლის ვადით, იჯარით, სარგებლობის უფლებით გადასცეს შპს „მაგთიკომი"-ს (ს/კ 204876606), მობილური კავშირგაბმულობის ანტენების განთავსების მიზნით და სარგებლობის უფლებით გადაცემისას საიჯარო ქირის საფასურის ოდენობა განისაზღვროს - 6600 (ექვსიათას ექვსასი) ლარი წელიწადში.

**აზრი გამოთქვეს:** პაატა ყულიაშვილმა

**დაადგინეს:** დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

**მომხრე**: 26

**წინააღმდეგი:** 1 - ალექსანდრე ნონიაშვილი

**9. მომხსენებელმა: ლევანი მანთაშაშვილმა** საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტში 2026 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 23 იანვრის №-109.109260231 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

2025 წელს ადგილობრივი ბიუჯეტით განსახორციელებელი პროექტების ნუსხაში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

პუნქტი 1 „ქ. დმანისი შოთა რუსთაველის ქუჩის რეაბილიტაცია" და პუნქტი 2 „ქ. დმანისი გაბაშვილი ქუჩის რეაბილიტაცია" პროექტში გაპარული შეცდომის კორექტირების შემდგომ ჯამში შემცირდეს 319406 ლარით და გადატანილი იქნეს პუნქტ 10-ში „სოფ. ჯავახის მისასვლელი გზის რეაბილიტაცია" და ჯამში შეადგენს 835071 ლარს.

ასევე დაემატოს 2025 წლის პროექტების დასრულებისთვის პროექტების ნუსხა

| 2025 წლის პროექტების დასრულებისთვის | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | სოფ გომარეთის შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია სარეაბილიტაციო სამუშაოები-პკ0+00-პკ1+20 | გზები | 181,283.00 | |
| 2 | ქ. დმანისში: დემეტრე თავდადებულის ქუჩის სანიაღვრე არხის მოწყობა 26 მაისისა და გორგასლის ქუჩების დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია | გზები | 45,159.00 | |
| 3 | 2025 რგფ და მთის ფონდის პროექტების თანადაფინანსება | სხვა | 59,887.00 | |
| 4 | 2025 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების თანადაფინანსება | სხვა | 31,811.00 | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 5 | 2025 წლებში საზედამხედველო/საექსპერტო მომსახურება | სხვა | 12,145.00 | |
| 6 | საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა | სხვა | 47,975.00 | |
| 7 | სოფელ კამარლოში მინი სტადიონის მოწყობა | კეთილმოწყობა | 48,619.00 | |
| 8 | ზოგადი ხედვის და ჭკვიანი კამერების მოვლა პატრონობა | სხვა | 45,514.00 | |
| 9 | დმანისის მუნიციპალიტეტის სოფ ქვემო კარაბულახში მინი სტადიონის მოწყობის რეაბილიტაცის სამუშაობის თანადაფინანსება | შენობა ნაგებობა/კეთილმოწყობა | 3,016.00 | |
| 10 | დმანისის მუნიციპალიტეტის სოფ. ბაზაქლოში სკვერის მოწყობის სამუშაოების თანადაფინანსება | კეთილმოწყობა | 16,419 | |
| 11 | ქ. დმანისში 26 მაისის ქუჩაზე მდებარე სპორტ დარბაზის ფასადის მოპირკეთების სამუშაოები | შენობა ნაგებობა | 18,840 | |
| 12 | კულტურის სახლში 1 ოთახის რეაბილიტაცია | შენობა ნაგებობა | 8,940 | |
| 13 | სტიქიის შედეგად დაზიანებული სოფ მაშავერაში საბავშო ბაღის სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოების თანადაფინანსება | შენობა ნაგებობა | 10,800 | |
| 14 | სამუშაოების ხარისხის მიზნით დაკავებული 2.5% | სხვა | 24,637 | |
| | ჯამი | | 555,045 | |

**აზრი გამოთქვეს:** პაატა ყულიაშვილმა

**დაადგინეს:** დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

**მომხრე**: 26

**წინაღმდეგი:** 1 - ალექსანდრე ნონიაშვილი

**10. მომხსენებელმა: ლევანი მანთაშაშვილმა** საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დმანისის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხის განაწილების შესახებ „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში

მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 16 იანვრის N85 განკარგულებით, დმანისის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 686 000 (ექვსასოთხმოცდაექვსი ათასი) ლარი განაწილდეს დანართის შესაბამისად:

დანართი

| 2026 წელს სოფლის მხარდაჭერი პროგრამით განსახორციელებელი პროექტების ნუსხა | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | **ადმინ. ერთეული** | **დასახლების სახელწოდება** | **პროექტის დასახელება** | **პროექტის საორიენტაციო ზღვრული ღირებულება, ლარი** | **შენიშვნა** |
| 1 | სარკინეთი | ახა | სანიაღვრე არხის მოწყობა | 5000 | |
| | | ახა | გარე განათების მოწყობა | 5000 | |
| 2 | | ველისპირი | წყლის სათავე ნაგებობის მოწყობა | 10000 | |
| 3 | | განახლება | ღია სივრცეში სავარჯიშოს და ფანჩატურის მოწყობა | 5000 | |
| | | განახლება | არსებული ძველი გარე განათების ახლით ჩანაცვლება | 5000 | |
| 4 | | სარკინეთი | ჩიხებში გარე განათების მოწყობა | 10000 | |
| 5 | გომარეთი | გომარეთი-კაკლიანი | სოფ.გომარეთის საჯარო სკოლასთან არსებული გზის რეაბილიტაცია | 26000 | |
| 6 | | მამულო | სოფ.მამულოს სასაფლაოს შემოღობვა | 5000 | |
| | | მამულო | სოფ.მამულოს დარჩენილ ქუჩებზე გარე განათების მოწყობა | 5000 | |
| 7 | | ქცია | სოფლის შიდა გზის პირას ტროტუარის მოწყობა | 10000 | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 8 | | ზემო კარაბულახი | სოფლის შიდა ქუჩების მოხრეშვა | 16000 | |
| 9 | | ქვემო კარაბულახი | საზოგადოებრივ სივრცეში ფარდულის მოწყობა | 10000 | |
| 10 | | ახალი გოდაგდაგი | შიდა სოფელში ერთი ქუჩის სანიაღვრე ერხის მოწყობა | 5000 | |
| | კარაბულახი | ახალი გოდაგდაგი | საზოგადოებრივი სივრცის ტერიტორიის და ფარდულის მოწყობა ბეტონის ხსნარით | 5000 | |
| 11 | | ძველი გოდაგდაგი | საბავშვო სკვერის მოწყობა | 10000 | |
| 12 | | პირველი და მეორე სალამალეიქი | ფარდულის რეაბილიტაცია | 20000 | |
| 14 | | უსეინქენდი | ფარდულის მოწყობა | 10000 | |
| 15 | | მამიშლარი | წყლის სათავე ავზისა და სოფლამდე წყლის მიყვანა | 10000 | |
| 16 | | სოგუთლო | ფარდულის მოწყობა | 10000 | |
| 17 | | შახმარლო | შიდა გზების მოხრეშვა | 12000 | |
| 18 | | კამარლო | სასაფლაოს შემოღობვა | 10000 | |
| | | კამარლო | შიდა გზების რეაბილიტაცია | 6000 | |
| 19 | კამარლო | ქარიანი | ცენტრალური გზის მიმდებარედ მოსაცდელის მოწყობა | 5000 | |
| | | ქარიანი | წყლის შიდა ქსელის რეაბილიტაცია | 5000 | |
| 20 | იფნარი | დაგარახლო | ფარდულის და იატაკის მოწყობა | 10000 | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | დაგარახლო | ტრენაჟორების მინი სტადიონის ტერიტორიაზე მოწყობა | 6000 | |
| 21 | | იფნარი | საზოგადოებრივი საბავშვო მინი სკვერის მოწყობა | 12000 | |
| 22 | | კიზილაჯლო | 10 ცალი გარე განათების ბოძი | 2000 | |
| | | კიზილაჯლო | სოფლის შიდა გზების მოხრეშვა | 8000 | |
| 23 | | საჯა | საზოგადოებრივი სივრცის რემონტი და წინა მხარეს კედლის მოწყობა | 10000 | |
| 24 | | ბახჩალარი | საზოგადოებრივი სივრცის დამხმარე ნაგებობის და საპირფარეშოს მოწყობა | 10000 | |
| 25 | | შინდლარი | გარე განათების მოწყობა. | 10000 | |
| | | შინდლარი | ფარდულის მოწყობა | 2000 | |
| 26 | კიზილქილისა | კიზილქილისა | გარე განათების წერტილების მოწყობა | 12000 | |
| 27 | | ორმაშენი | საზოგადოებრივი სივრცის მოწყობა | 10000 | |
| 28 | | განთიადი | საზოგადოებრივი სივრცის შემოღობვა | 10000 | |
| | | განთიადი | სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთის მიმავალი გზის მავთულ-ბადით შემოღობვა | 6000 | |
| 29 | | ჯავახი | საზოგადოებრივი სივრცის რეაბილიტაცია | 8000 | |
| | | ჯავახი | სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის | 8000 | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | მიმავალი გზის მავთულ ბადით შემოღობვა | | |
| 30 | | ტნუსი | სოფ.ტნუსში სანიაღვრე არხის მოწყობა | 6000 | |
| | | ტნუსი | რიტუალების სახლის სამზარეულოს მოწყობა | 6000 | |
| 31 | ბოსლები | ბოსლები | საზოგადოებრივი სივრცის მოწყობა | 8000 | |
| | | ბოსლები | ბლოკის კედელი საბავშვო ბაღთან | 4000 | |
| 32 | | კაკლიანი (აზერბაიჯანული) | გარე განათების მოწყობა | 6000 | |
| | | კაკლიანი (აზერბაიჯანული) | გზის მოხრეშვა | 6000 | |
| 33 | დიდი დმანისი | ვარდისუბანი | საზოგადოებრივი სივრცის რეაბილიტაცია | 12000 | |
| 34 | | დიდი დმანისი | საზოგადოებრივი სივრცის ეზოს კეთილმოწყობა | 12000 | |
| | | დიდი დმანისი | გზისპირა მოსაცდელის მოწყობა | 4000 | |
| 35 | | პატარა დმანისი | საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილის მიმდებარედ ფარდულის მოწყობა | 10000 | |
| 36 | მაშავერა | მაშავერა უკანგორა | სანიარვრე სისტემის მოწყობა. | 24000 | |
| | | მაშავერა უკანგორა | წყაროს წყლის რეაბილიტაცია | 2000 | |
| 37 | პანტიანი | იაღუფლო | საზოგადოებრივ სივრცესტან სველი წერილის მოწყობა და ტერიტორიის შემოღობვა | 16000 | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 38 | | პანტიანი | საზოგადოებრივი სივრცის მოწყობა | 12000 | |
| 39 | | დალარი | გარე განათების მოწყობა. | 2000 | |
| | | დალარი | სოფლის შიდა გზების მოხრეშვა | 8000 | |
| 40 | | ქვემო ოროზმანი | გარე განათების გაგრძელება | 12000 | |
| 41 | | ზემო ოროზმანი | საზოგადოებრივი სივრცის რეაბილიტაცია | 16000 | |
| 42 | ოროზმანი | მთისძირი | ფარდულის იატაკის დაბეტონება | 12000 | |
| 43 | | ვაკე | მინისკვერამდე მისასვლელი გზის გასწორება და დაბეტონება | 12000 | |
| 44 | საკირე | საკირე-გორა | სოფ გორას მისასვლელი გზაზე სანიაღვრე არხის მოწყობა | 20000 | |
| 45 | | გუგუთი | სანიარვრე არხების მოწყობა | 10000 | |
| 46 | გუგუთი | კამიშლო | შიდა და მისასვლელი გზის რეაბილიტაცია | 12000 | |
| 47 | | ლოქჭანდარი | მისასვლელი გზის რეაბილიტაცია | 10000 | |
| 48 | | ბაზაქლო | საზოგადოებრივი სივრცის რეაბილიტაცია | 16000 | |
| 49 | | ამამლო | გარე განათების მოწყობა | 20000 | |
| 50 | ამამლო | მამიშლო-ანგრევანი-ტყისპირი | საზოგადოებრივი სივრცის რეაბილიტაცია | 32000 | |
| 51 | | საფარლო | საზოგადოებრივი სივრცის რეაბილიტაცია | 12000 | |
| 54 | ირგანჩაი | ირგანჩაი | გარე განათების მოწყობა | 20000 | |
| | | | | 686000 | |

**აზრი გამოთქვეს:**

**დაადგინეს:** დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

**მომხრე**: 26

**წინაღმდეგი:** 1 - ალექსანდრე ნონიაშვილი

**11. მომხსენებელმა: თინათინ ციხელაშვილმა** საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წელს გაწეული მუშობის შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების თაობაზე, რომელიც დმანისის მუნიციპალიტეტის მერმა მოსახლეობას საჯაროდ წარუდგინა 2026 წლის 23 თებერვალს.

გადაწყვიტეს ცნობად იქნეს მიღებული დმანისის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში (თან ერთვის).

**აზრი გამოთქვეს:**

**დაადგინეს:** დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

**მომხრე**: 26

**წინაღმდეგი:** 1 - ალექსანდრე ნონიაშვილი

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

**საკრებულოს თავმჯდომარე** **პაატა ყულიაშვილი**

სხდომის მდივანი ტარიელ პაკელიანი

## დმანისის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2025 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

### 1. დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახური

დმანისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 ნოემბრის N 31 დადგენილებით ორგანიზაციული და ფუნქციონალური კლასიფიკაციის ჭრილში ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების გათვალისწინებით, რომლის მოცულობა შეადგენს 24146,4 ათასი ლარს, მათ შორის: გადასახადები 21065,2ათასი ლარი, გრანტები -204,2 ათასი ლარი, სხვა შემოსავლები -2877,0 ათასი ლარი.

საანგარიშო პერიოდში დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შესაბამისი დადგენილებით შეტანილი იქნა ცვლილება დმანისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში ათჯერ, აქედან საქართველოს მთავრობის 2024 წლის 31 დეკემბრის N1955 და N53 16 იანვრის 2025 წლის განკარგულების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2025 წლის30 ივლისის N1205, N1098, 09/07.2025წ, N1623 06/10.2025წ და N302 30/07.2025წ. განკარგულების საფუძველზე ხუთჯერ, საგადასახადო შემოსავლების ზრდით ერთხელ და შიდა გადაადგილებით სამჯერ, არაფინანსური აქტივების კლებით ორჯერ და სხვა შემოსავლების ზრდით ერთხელ, რომლის შემდგომ წლიური შემოსულობები და გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 36315,8 ათასი ლარის ოდენობით.

დმანისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საკასო შესრულებამ შეადგინა 101,2% (გეგმა - 36315,8 ათასი ლარი, ფაქტი -36763,4 ათასი ლარი) ხოლო შემოსავლების საკასო შესრულებამ შეადგინა 101,2% (გეგმა 31957,7 ათასი ლარი, ფაქტი 32370,9 ათასი ლარი) მათ შორის:

ა) დამატებითი ღირებულების გადასახადი შესრულებულია 101,2%(გეგმა - 19265,2ათასი ლარი - ფაქტი 19503,5ათასი ლარი);

ბ) ქონების გადასახადი 102,6% (გეგმა2200,0ათასი ლარი, ფაქტი 2257,7ათასი ლარი);

გ) გრანტები-სახელმწიფო ბიუჯეტიდან ტრანსფერები მიღებულია98,9% (გეგმა - 7415,5 ათასი ლარი, ფაქტი - 7337,5ათასი ლარი);

დ) სხვა შემოსავლები შესრულებულია 106,3% (გეგმა - 3077,0 ათასი ლარი, ფაქტი - 3272,2ათასი ლარი);

ე) არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსულია 681,4 ათასი ლარი.ნაცვლად 647,0 ათასი ლარის, ანუ 105,3 %;

ვ) დაგეგმილ ხარჯებში მიმართული იქნა გარდამავალი ნაშთიდან 3711,1 ათასი ლარი, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან მიღებული თანხები 1588,3 ათასი ლარი, ხოლო საკუთარი შემოსავლებიდან 2122,8 ათასი ლარი.

დმანისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის გადასახდელები ათვისებულია 91% (გეგმა36306,5ათასი ლარი, ფაქტი 33038,6ათასი ლარი), მათ შორის:

- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების შენახვის ხარჯები 95,9% (გეგმა 6028,4 ათასი ლარი, ფაქტი 5781,0 ათასი ლარი);
- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის გადასახდელები 85,1% (გეგმა - 17062,7ათასი ლარი, ფაქტი - 14515,5 ათასი ლარი), მათ შორის: არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი შესრულებულია 83,3% (გეგმა 14382,8 ათასი ლარი ფაქტი-11986,6 ათასი ლარი), ხოლო გრანტის მუხლი შესრულებულია 100%.

- **ორგანიზაციული კოდის მიხედვით შესრულება შეადგენს შემდეგს:**

- გზების მშენებლობა-რეაბილიტაციის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 79,5% (გეგმა 8252,5 ათასი ლარი, ფაქტი 6560,2 ათასი ლარი);
- სასმელი წყლის სისტემების მშენებლობა - რეაბილიტაციის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 82,1% (გეგმა-292,1 ათასი ლარი ,ფაქტი - 239,8 ათასი ლარი);
- კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში 93,7% (გეგმა 149,2 ათასი ლარი, ფაქტი 139,8 ათასი ლარი);
- მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია 93,7% (გეგმა 2751,7 ათასი ლარი, ფაქტი 2578,4 ათასი ლარი);
- საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა - რეაბილიტაცია 82,2% (გეგმა 1779,7 ათასი ლარი, ფაქტი 1463,7 ათასი ლარი);
- დასუფთავება და გარემოს დაცვაზე 100% (გეგმა 2705,1 ათასი ლარი,ფაქტი 2704,4 ათასი ლარი);
- სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ღონისძიებები დაფინანსდა 88,9% (გეგმა 2040,1 ათასი ლარი, ფაქტი 1869,4 ათასი ლარი);
- საპროექტო დოკუმენტაციის და საექსპერტო მომსახურეობა 98,8% (გეგმა 609,3 ათასი ლარი,ფაქტი 549,9 ათასი ლარი);
- საგანმანათლებლო ღონისძიებების გადასახდელები 92,3% % (გეგმა 3097,1 ათასი ლარი, ფაქტი 2857,3ათასი ლარი);
- სპორტიული და კულტურული ღონისძიებების ხარჯები 99% (გეგმა - 3408,1ათასი ლარი, ფაქტი 3374,6 ათასი ლარი);
- სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების განხორციელებისთვის 98,6% (გეგმა -3659,5ათასი ლარი, ფაქტი 3607,2 ათასი ლარი), მათ შორის სოციალური პროგრამები 98,8% (გეგმა 3467,8 ათასი ლარი, ფაქტი 3426,7 ათასი ლარი), ჯანდაცვის პროგრამები 94,2%(გეგმა 191,7ათასი ლარი, ფაქტი 180,5ათასი ლარი).

დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ 2025 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან მერიის შესაბამისი ბრძანებების საფუძველზე გაცემულია 248036 ლარის ოდენობით.

**2. დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური**

- **წყლები (დასრულებული), მთლიანი ღირებულება - 288384 ლარი**

- დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ გომარეთის ჭაბურდილის მოწყობა.
- სოფელ ქვემო კარაბულახის არსებული სასმელ წყლის სატუმბი სადგურის შენობაში სოფელ კიზლაჯლოსთვის და ქვემო კარაბულახისთვის ბუსტერული ძრავების მოწყობა.

- **გარე განათება (დასრულებული), მთლიანი ღირებულება - 92872 ლარი**

- დმანისის სიონის (ნაქალაქარი) მისასვლელი გზის, ტაძრის და ციტადელის განათების მოწყობის სამუშაო.

- **შენობა-ნაგებობა (დასრულებული), მთლიანი ღირებულება -1 592 200 ლარი**

- ქ. დმანისში #1 საბავშვო ბაღის შენობის სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოები.
- სოფელ ზემო კარაბულახში სარიტუალო დარბაზის რეაბილიტაციის სამუშაო.
- ქ. დმანისში წმ. ნინოს ქ. N56-ში მდებარე კულტურის სახლში სარემონტო სამუშაოები და ელექტროობის სამონტაჟო სამუშაოების მოწყობა (დაბალი ძაბვა და სახანძრო სიგნალიზაცია).
- ქ.დმანისში წმ.ნინოს ქ.#56-ში სპორტული დარბაზის შენობის რეაბილიტაციის სამუშაოები.

- ქ. დმანისში 26 მაისის ქუჩაზე არსებული შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები სპორტსკოლისათვის.
- მერიის შენობის მთავარი გამანაწილებელი ფარის სქემატური პროექტი და დამიწების მოწყობა.
- ქ.დმანისში ვაჟა ფშაველას ქუჩაზე მდებარე სარიტუალო დარბაზის შენობის ელექტრონული ხაზის გაყვანილობა.
- წმ.ნინოს ქუჩა N30-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის სახურავის რეაბილიტაცია.
- ქ.დმანისში 26 მაისის ქუჩა N15-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის გადახურვის სამუშაო.
- სოფელ ჯავახში და კიზილაჯლოში საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილის, სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა.
- სტიქიის შედეგად საქართველოს მაღალმთიანი რაიონებიდან დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადმოსახლებული, სოციალურად დაუცველი ოჯახების საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლების სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოები.
- დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ გომარეთში კულტურის ცენტრის მშენებლობა.
- დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ განთიადში საჭიდაო დარბაზის რეაბილიტაციის სამუშაოები.

- **მიმდინარე, სახელშეკრულებო ღირებულება -174 326 ლარი, 2025 წელს ანაზღაურებული თანხა 34`865 ლარი.**

- დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა დმანისში საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილის სარემონტო/სარეაბილიტაციო სამუშაოს შესყიდვა.
- ქ.დმანისში კულტურის ცენტრის შენობაში არსებული ოთახის სარემონტო/სარეაბილიტაციო სამუშაოს შესყიდვა.
- ქ.დმანისში 26 მაისის ქუჩაზე არსებული სპორტსკოლის შენობის ფასადის რეაბილიტაციის სამუშაოს შესყიდვა.

- **კეთილმოწყობა (დასრულებული), საერთო ღირებულებით - 1 463 728 ლარი.**

- ქ. დმანისში კოსტავას ქუჩაზე მდებარე სასაფლაოს შემოღობვის და საპირფარეშოს მოწყობა.
- სოფელ ქვემო ოროზმანში ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნისა და სკვერის მოწყობა, ასევე გარე სივრცისთვის ტრენაჟორების მოწყობა.
- სოფელ დაგარახლოში ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნისა და სკვერის მოწყობა.
- დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ განთიადში არსებული ტერიტორიის შემოღობვის სამუშაოები.
- დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ შინდლარში მინი სტადიონის მოწყობის სამუშაოები
- სოფელ კამარლოში მინი სტადიონის მშენებლობის სამუშაოები.
- ქ. დმანისში, ოთხ ლოკაციაზე, გზის პირა მოსაცდელების რეაბილიტაცია და ქ. დმანისში თავისუფლების ხეივანი N2-ში მდებარე მხარდაჭერის სახლის ფარდულის მოწყობა.
- ირგანჩაის საჯარო სკოლის ეზოს შემოღობვის სამუშაოები.
- სოფელ განთიადში ორი მოსაცდელის სამშენებლო სამუშაოები.

- **მიმდინარე, სახელშეკრულებო ღირებულება - 161 847 ლარი**

- სოფელ ბაზაქლოში სკვერის მოწყობის სამუშაოები.

- **სტიქია (მიმდინარე), სახელშეკრულებო ღირებულება - 920 000 ლარი**

- სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებით, დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაზაქლოში მილხიდის, სოფელ ოროზმანში საცალფეხო და სამანქალო ხიდის, სოფელ ირგაჩაიში შიდა გზაზე საყრდენი კედლის და სოფელ ლოქჭანდარში გადასასვლელი ხიდის მოწყობის სამუშაოები.

- **დასრულებული, სახელშეკრულებო თანხა - 68 639 ლარი**

- სოფელ მაშავერაში საბავშვო ბაღის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოს შესყიდვა.

- **გზები (დასრულებული), მთლიანი ღირებულება - 6 560 198 ლარი**

- ქ. დმანისში ხერგიანის ქუჩის რეაბილიტაცია პროექტის ღირებულება.
- ქ. დმანისში ჭუბერის ქუჩის რეაბილიტაცია.
- ქ. დმანისში ცურტაველის ქუჩის რეაბილიტაცია.
- ქ. დმანისში გამსახურდიას ქუჩის რეაბილიტაცია.
- ქ. დმანისში აღმაშენებლის ქუჩის მოასფალტების და ჭუბერის N3 ჩიხში სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაო.
- ქ.დმანისში 26 მაისი ქუჩისა და გორგასლის ქუჩის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია.
- ქ.დმანისში თავდადებულის ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობა.
- სოფელ გუგუთში სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები.
- ქ. დმანისში გოგებაშვილის ქუჩის რეაბილიტაცია.
- 9 აპრილის ქუჩის რეაბილიტაცია, მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხა.
- ქ. დმანისში ნანა დედოფლის ქუჩის რეაბილიტაცია.
- დმანისის მუნიციპალიტეტის სოფ. გომარეთში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციის სამუშაოები.

- **მიმდინარე**

- დმანისის მუნიციპალიტეტის ამამლო-ირგანჩაის მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (პკ 50+00--90+00). **პროექტის სრული ღირებულება შეადგენს 3763220 ლარს (2024-2025-2026 წ.წ.), ხელშეკრულება დადებულია.**
- სოფელ პანტიანის მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (პირველი ეტაპი), ხელშეკრულების ღირებულება 334 990 ლარი.
- სოფელ პანტიანის მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (II ეტაპი), ხელშეკრულება დადებულია 1 634 580 ლარი.

- **სოფლის მხარდაჭერის პროგრამა**

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2025 წელს დმანისის მუნიციპალიტეტში განხორციელდა **57 სხვადასხვა სახის პროექტი. ჯამში 2025 წლის სოფლის პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია 1 877 842 ლარი.**

- **გარე განათება**

19 სოფელში განხორციელდა და მიმდინარეობს გარე განათების მოწყობისა და რეაბილიტაციის პროექტები (კამარლო, მაშავერა, დაგარახლო, უკანგორი, ტნუსი, ქვემო კარაბულახი, კიზილაჯლო, ტყისპირი, ზემო ოროზმანი, ირგანჩაი, ამამლო, საფარლო, გომარეთი, კალიანი (ქართული), მამულო, გუგუთი, შინდლარი, ახა) - **საერთო თანხით 444120 ლარი.**

- **გზები**

13 სოფელში განხორციელდა და მიმდინარეობს გზის რეაბილიტაციის სამუშაოები (განთიადი, ძველი გოდაგდაგი, ქცია, ქარიანი, მამიშლარი, იაღუფლო, ანგრევანი, დაგარახლო, ორმაშენი, კამიშლო, საკირე, გორა, კამარლო) - **საერთო ღირებულებით 436076 ლარი.**

- **სხვა**

24 სოფელში განხორციელდა და მიმდინარეობს სხვადასხვა სახის სამუშაოები (ჯავახი, სოგუთლო, მამიშლარი, ახა, ქვემო კარაბულახი, ზემო კარაბულახი, დალარი, მთისძირი, ქვემო ოროზმანი, შინდლარი, გომარეთი, მამულო, აზკაკლიანი, სარკინეთი, ველისპირი, იფნარი, საჯა, ბახჩალარი, გუგუთი, ლოქჭანდარი, დიდი დმანისი, პატარა დმანისი, ვარდისუბანი, ბოსლები, მაშავერა-უკანგორა, ქარიანი ) - **საერთო ღირებულებით 1 093 904 ლარი.**

## 3. დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური

ადმინისტრაციული სამსახურის ფუნქციების შესაბამისად მთელი წლის მანძილზე ხორციელდებოდა განცხადებების მიღება და მოქალაქეთა მომსახურება. 2025 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის მერიაში msda – პროგრამაში (4920) და mms - პროგრამის (8634) მეშვეობით შემოსულია სულ 13554 კორესპონდენცია, აქედან უმეტესი ნაწილი ეხება მოქალაქეთა განცხადებებს, სადაც ითხოვენ ფინანსურ დახმარებას, მკურნალობა-საოპერაციო თანხებს, ავარიული და დაზიანებული სახლების შეკეთებას, მშენებლობა - ექსპლუატაციაში მიღების ნებართვას, ბინის პრივატიზებას, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შემოსული წერილების - რომლებიც ძირითადად სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის დარეგისტრიებას, მიწის ფართის იდენტურობის დადგენას და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნას.

მუნიციპალიტეტიდან გასული დოკუმენტების რაოდენობა შეადგენს 6602; მომზადდა სამივლინებო მოწმობები 31.

ადმინისტრაციული სამსახურის მიერ ხორციელდება მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა პირადი საქმეების წარმოებაზე კონტროლი და მათ მიერ „საჯარო სამსახურის შესახებ" კანონით დადგენილი დოკუმენტაციის წარმოდგენის სისრულისა და შესაბამისობის შემოწმება. ასევე, ადმინისტრაციული სამსახურს დაგეგმილი აქვს თანამშრომელთა კვალიფიკაცის ამაღლების მიზნით სხვადასხვა ტრენინგ მომსახურების შესყიდვა.

საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთთხოვნათა საერთო რაოდენობა - 20 წერილი (136 ინფორმაცია) დაკმაყოფილებული მოთხოვნათა რაოდენობა 18 წერილი (130 ინფორმაცია), მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება -1 წერილი (5 ინფორმაცია) და განხილვის ეტაპზე არსებული მოთხოვნათა რაოდენობა 1 წერილი (1 ინფორმაცია) .

ცხოვრების ფაქტის დამდგენი კომისიის მიერ გამოიცა 18 განკარგულება.

ადმინისტრაციული სამსახურის (კანცელარიის) მიერ აღნიშნულ პერიოდში გატარებული იქნა სხვადასხვა სახის კორესპოდენცია, სულ - 20 156 დოკუმენტი.

2025 წლის დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საერთო რაოდენობა წლის დასაწყისში შეადგენდა - 99 - ს, შტატების რაოდენობა კი 105 - სს; 2025 წლის ბოლოსთვის შტატების რაოდენობა გახლდათ 109, ხოლო თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საერთო რაოდენობა - 101.

შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა წლის დასაწყისში იყო 12 და 2025 წლის ბოლოსთვის გახლდათ 17.

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიამ მიმდინარე წელს 2- ჯერ გამოაცხადა კონკურსი ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად:

- პირველად კონკურსი გამოცხადდა 3 ვაკანტური თანამდებობისთვის; გამოცხადდა შიდა კონკური - კატეგორიის მომატება მოხელის კარიერული განვითარების მიზნით, სადაც წარმატებით შეირჩა კანდიდატი;
- მეორედ კონკურსი გამოცხადდა 3 ვაკანტური თანამდებობისთვის; გამოცხადებულ ვაკანსიაზე გამარჯვებული პირების შერჩევა მოხდა შიდა კონკურსის წესით, სამივე მათგანი წარმატებით დასრულდა.

„საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 მაისის №177 დადგენილების მიხედვით, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიაში 2025 წელს დამტკიცდა და განისაზღვრა სტაჟიორთა საერთო კვოტა ( რაოდენობა - 8), რომელიც სსიპ – საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით გამოქვეყნდა 01.09.2025 - დან 10.09.2025-მდე.

აღნიშნული დროის ფარგლებში, შემოსული ვაკანსიების საერთო რაოდენობა სამსახურების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

- (ვაკანსია N 95059 - სტაჟიორი სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურში არქიტექტურისა და მშენებლობის მიმართულებით, გაკეთებული განაცხადის რაოდენბა - 2);
- (ვაკანსია N 94946 - სტაჟიორი განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურში სპორტის მიმართულებით, გაკეთებული განაცხადის რაოდენბა - 1);
- (ვაკანსია N 94928 - სტაჟიორი შიდა აუდიტის სამსახურში აუდიტის მიმართულებით, გაკეთებული განაცხადის რაოდენბა - 2);
- (ვაკანსია N 94918 - სტაჟიორი ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილებაში იურიდიული მიმართულებით, გაკეთებული განაცხადის რაოდენბა - 1);
- (ვაკანსია N 94891 - სტაჟიორი საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმვისა და საბუღალტრო აღრიცხვის განყოფილებაში ბუღალტერიის მიმართულებით, გაკეთებული განაცხადის რაოდენბა - 0);
- (ვაკანსია N 94907 - სტაჟიორი შესყიდვებისა და ლოჯისტიკის სამსახურში შესყიდვების მიმართულებით, გაკეთებული განაცხადის რაოდენბა - 0);
- (ვაკანსია N 94937 - სტაჟიორი მუნიციპალური ინსპექციის სამსახურში ზედამხედველობის მიმართულებით, გაკეთებული განაცხადის რაოდენბა - 1).

საბოლოო ჯამში, სულ დაფიქსირდა 3 კონკურსანტი, რომლებმაც ჯამში 7 განაცხადი გააკეთეს. აქედან, 2-მა კონკურსანტმა ვერ გადალახა კონკურსის პირველი ეტაპი და ვერ გადავიდა კონკურსის მეორე ეტაპზე, ხოლო მესამე კონკურსანტმა წარმატებით გადალახა კონკურსის პირველი და მეორე ეტაპი, შესაბამისად, შეფასდა დადებითად კომისიის მიერ და მიიღო თანხმობა სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურში არქიტექტურისა და მშენებლობის მიმართულებით სტაჟიორის პოზიციაზე დასაკავებლად.

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის 2025 წლის მოხელეთა პროფესიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული მოხელეებისთვის საქართველოს მთვრობის 2018 წლის 22 მაისის „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის დამტკიცების შესახებ" დადგენილება №242 -ის შესაბამისად სსიპ –

სსიპ „ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლასთან“ თანამშრომლობით, 3-მა მოხელემ 2025 წლის 31 ივლისიდან - 13 აგვისტოს ჩათვლით გაიარა მოხელის პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამა - „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი, რომლის ღირებულებამ ჯამში 2160 ლარი შეადგინა (720 ლარი ერთ მოხელეზე).

2025 წლის 28 ოქტომბრიდან ამავე წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით 2 (ორი) მოხელეს ჩაუტარდა 12 საათიანი სატრეინინგო მომსახურება თემაზე: "რისკების მართვა საჯარო დაწესებულებებში“. ტრენინგი ჩაატარა სსიპ ‘ფინანსთა სამინისტროს აკადემიამ“, რომლის ღირებულებამ ჯამში 800 ლარი შეადგინა (400 ლარი ერთ მოხელეზე).

2025 წლის 09 ივლისიდასნ ამავე წლის 22 ივლისის ჩათვლით 8 (რვა) მოხელეს ჩაუტარდა 20 საათიანი სატრეინინგო მომსახურება თემაზე: „Microsoft Excel-ის შემსწავლელი კურსი“. ტრენინგი ჩაატარა სსიპ "ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლამ". ხელშეკრულების ღირებულებამ შეადგინა 4, 800 ლარი (600 ლარი ერთ მოხელეზე).

დამატებით, 1 (ერთი) მოხელეს 2025 წლის 03-07 ნოემბერს ჩაუტარდა 10 საათიანი სატრეინინგო მომსახურება თემაზე: "საქმისწარმოებისა და საარქივო საქმის სასწავლო კურსის პროგრამა'. ტრენინგი ჩაატარა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ "საქართველოს ეროვნულმა არქივმა", რომლის ღირებულებამ ჯამში 150 ლარი შეადგინა.

ასევე, სამსახურეობრივი საჭიროებიდან გამომდინარე, ექვსი თანამშრომლისთვის მოხდა ზოგადი ინგლისური A1 - კურსის შესყიდვა შპს ინთერნეშენალ როიალ აკადემიასთან თანამშრომლობით, რომლის ღირებულებამ ჯამში 3600 ლარი შეადგინა (600 ლარი ერთ მოხელეზე).

პიარის მიერ ხორციელდებოდა, მუნიციპალიტეტის ორგანოების და თანამდებობის პირების საქმიანობის შესახებ ოფიციალური ინფორმაციის გავრცელება, მუნიციპალიტეტის საინფორმაციო საკომუნიკაციო სისტემის ფუნქციონირება, ინტერნეტ-საიტების და ინტერნეტ-გვერდების შექმნა და საჯარო ინფორმაციის მათზე განთავსების უზრუნველყოფა. კონკრეტულად, დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია ანონსდებოდა ფეისბუქის საშუალებით და სამხარეო ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული, სპეციალური კალენდარის სახით ვაწვდიდი სამხარეო ადმინისტრაციაში პიარის სამსახურს. (ყოველდღიურად და ყოველკვირეულად). მათგან ვიღებდით რეკომენდაციას სხვადასხვა საკითხებზე.

ასევე, ავტომატურ რეჟიმში ხდებოდა ტენდერებისა და მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრებთა სტატუსის მინიჭების სხდომის ოქმების განთავსება.

ინფორმაცია ქვეყნდება ქვემოთ ჩამოთვლილ პორტალზე, ასევე ვთანამშრომლობთ გაზეთთან „გურჯისტანი“, აზებაიჯანულ ენაზე ხდება მუნიციპალიტეტში ეთნიკური უმცირესობების იმფორმირებულობა, 2023 წელს დაიგეგმა და 2024 წლიდან გამოდის ადგილობრივი გაზეთი ,,დმანისის ამბები“ რომელიც არის ორენოვანი ქართული და აზერბაიჯანული, გამოდის თვეში ერთი ნომერი.

საერთაშორისო, არასამთავრობო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ურთიერთობის მიმართულებით გაწეული საქმიანობის კოორდინაცია ხდებოდა შემდეგნაირად: სატელეფონო კომუნიკაციის ან წერილის საფუძველზე, დაგეგმილი ღონისძიების შესახებ ინფორმაციის გავრცელება, ღონისძიების დასურათება, განთავსება ოფიციალურ გვერდებზე.

პარარელურ რეჟიმში ვთანამშრომლობდით და ვგზავნიდით პრესრელიზებს მერიის მიერ გამოწერილ სააგენტოებთან შპს „თავისუფალი გაზეთი“ + თან (საინფორმაციო სააგენტო აიპრესი). სააგენტო წარმოადგენს imedia ჯგუფს, რომელიც აერთიანებს რამდენიმე საინფორმაციო პორტალს: ipress.ge, ibusiness.ge, iregions.ge, imtavroba.ge, mpess.ge. რეგიონულ პორტალებს kvira.ge.

გენდერულ ორგანიზაციებთან მუნიციპალიტეტის საკონტაქტო პირის მიერ გაწეული საქმიანობას - ვუწევთ კოორდინაციას საკრებულოში გენდერულ საბჭოს წევრების საქმიანობას არასამთავრობო და სამთავრობო დაწესებულებებთან. (სიალხეების გაზიარება, ასევე მუნიციპალიტეტში გენდერის კუთხით დაგეგმილი ღონისძიებები).

ვებ მენეჯერთან ერთად ხორციელდება მერის და საკრებულოს მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტების ოპერატიული გავრცელება.

სამსახურის აქტიური ჩართულობით მიმდინარეობს მუშაობა „მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ თანახმად, მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირებისათვის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის საკითხებზე. კერძოდ:

- სტატუსი მიენიჭა 243 ადამიანს;
- სტატუსი შეუწყდა - 425 ადამიანს (მონიტორინგის საფუძველზე 194, რეესტრის საფუძველზე 231).

მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები ფიზიკური პირის სტატუსით სარგებლობს 11891 ადამიანი, მონიტორინგი განხორციელდა 2996 პირის მიმართ.

## 4. დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახური

2025 წლის 12 თვის განმავლობაში დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურმა განახორციელა შემდეგი სამუშაოები:

1. 2025 წელს აუქციონის წესით იჯარით გაიცა 4 სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 164.8340 ჰა, შემოსულმა თანხამ შეადგინა - 3745 ლარი;

2. 2025 წელს მიწის იჯარებიდან დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტში შემოვიდა 211 662 ლარი;

3. აუქციონზე გასხვისდა 11 უძრავი ქონება, შემოსულმა თანხამ შეადგინა 681 441 ლარი;

4. მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირდა 38 ერთეული უძრავი ქონება, ჯამში 8 747 947 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და 23 249 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი;

5. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ინიცირებული GEF-ის მიერ დაფინანსებული პროექტის „საქართველოში მიწის დეგრადაციის ნეიტრალური ბალანსის მიზნების მიღწევა დეგრადირებული საძოვრების აღდგენისა და მდგრადი მართვის გზით" ფარგლებში დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ განახლებაში შერჩეულ საპილოტე საძოვარზე მოწყობილი 162 823 ლარის ღირებულიების ქონება გაგადაეცა დმანისის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში;

6. საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის, წალკის და ქალაქ რუთავის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციამ მუნიციპალიტეტს მომართა 11 წერილით. მუნიციპალიტეტმა 6 შემთხვევაში გასცა თანხმობა უძრავი ქონების იჯარა/პრივატიზებაზე, ხოლო 5 შემთხვევაში - უარი. ასევე, სსიპ „მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოდან" შემოსულია ერთი წერილი ლიცენზიის გაცემასთან დაკავშირებით, რაზეც გაიცა თანხმობა;

7. სსიპ "სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან" დამატებითი ქონების სახით გადმოცემულია 11 უძრავი ქონება: ს. ახალი გოდაგდაგი, ს. პირველი სალამალეიქი და ს. ორმაშენი რიტუალების მოწყობის მიზნით, ს. კიზილქილისა 2 უძრავი ქონება, ს. იაღუფლო, ს. პანტიანი და ს. ჯავახი ბასეინების მოწყობის მიზნით, ს. კაკლიანი (აზერბაიჯანული) სასაფლაოს გაფართოების მიზნით, ს. ირგანჩაი საბავშვო ბაღის

მიმდებარე ტერიტორიის მოწყობის მიზნით, ს. განახლება სპორტული მოედნის მოწყობის მიზნით. ერთი უმრავი ქონება ძირითადი ქონების სახით სკვერის მოწყობის მიზნით;

8. სსიპ "სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს" საკუთრებაში გადაეცა დმანისის მუნიციპალიტეტის კუთვნილი ერთი უმრავი ქონება, „უსახლკარო/მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი მრავალშვილიანი ოჯახ(ებ)ის განსახლების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2024 წლის 8 იანვრის N1 დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის ფარგლებში, ჯილდა თათულაშვილის (პ/ნ 15001008641) ოჯახის დაკმაყოფილების მიზნით;

9. „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების ხელმისაწვდომობის" პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ საძოვრებიდან დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იჯარით გაიცა 25 მიწის ნაკვეთი;

10. სსიპ "საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან" სისტემური და სპორადული რეგისტრაციის ფარგლებში შემოსულია 310 წერილი, რაზეც მომზადდა შესაბამისი პასუხი.

## 5. დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია

დმანისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მუნიციპალური ინსპექციის სამსახური აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა სახის სამართალდარღვევების გამოვლენასა და არსებული დარღვევების აღმოფხვრაში, რაზეც სამსახური მოქმედებს დებულებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და ახორციელებს მყისიერ რეაგირებას.

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის სამსახურის მიერ 2025 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით განხორციელებული საქმიანობის შესახებ:

1. 2025 წლის იანვრიდან საანგარიშო პერიოდის დასრულებამდე მუნიციპალური ინსპექციის სამსახურის მიერ, საქართველოს სივრცითი დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 130-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე, შედგენილია 27 (ოცდაშვიდი) მითითება და შემოწმების აქტი. უკანონოდ განხორციელებული მშენებლობების გამო სამართალდამრღვევ პირებს დაეკისრათ ადმინისტრაციული ჯარიმა, რომლის საერთო ოდენობა შეადგენს 111 000 (ას თერთმეტი ათასი) ლარს;

2. 2025 წლის დასაწყისიდან საანგარიშო პერიოდის დასრულებამდე ექსპლუატაციაში მიღებულია 7 (შვიდი) ობიექტი. აღნიშნული ობიექტებიდან 6 (ექვს) შემთხვევაში დაფიქსირდა საქართველოს სივრცითი დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 132-ე მუხლით გათვალისწინებული სამშენებლო/სანებართვო პირობების დარღვევა. სამართალდამრღვევ პირებს დაეკალათ დარღვევების აღმოფხვრა და დაეკისრათ ჯარიმა, რომლის საერთო ოდენობა შეადგენს 2 750 (ორი ათას შვიდას ორმოცდაათი) ლარს. დარღვევების გამოსწორების შემდეგ, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების 30-ე მუხლის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ გაცემულია ობიექტების ექსპლუატაციაში მიღების ბრძანებები;

3. 2025 წელს მუნიციპალური ინსპექციის სამსახური აქტიურად მონაწილეობდა დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების შემოწმებაში საგარანტიო ვადის ფარგლებში. შემოწმების შედეგად 5 (ხუთი) ობიექტზე გამოვლინდა დეფექტები/დაზიანებები, რომლებიც მუნიციპალური ინსპექციის ეფექტური რეაგირების შედეგად სრულად აღმოიფხვრა;

4. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $55^2$-ე და $55^6$-ე მუხლების საფუძველზე გამოვლენილია სახელმწიფო და დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების („მთის საძოვრების") უკანონო სარგებლობის 21 (ოცდაერთი) ფაქტი. აღნიშნულიდან გამომდინარე,

შედგენილია 1 (ერთი) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომელიც გაფრთხილებით დასრულდა, ხოლო 20 (ოცი) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის საფუძველზე დაკისრებული ჯარიმების/საურავების საერთო ოდენობა შეადგენს 34 000 (ოცდათოთხმეტი ათასი) ლარს;

5. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 148-ე მუხლის მეოთხე ნაწილის საფუძველზე, პარკსა და სკვერში წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნის გამო, გამოვლენილია 1 (ერთი) სამართალდარღვევის ფაქტი, რის გამოც დაკისრებული ადმინისტრაციული ჯარიმა შეადგენს 500 (ხუთასი) ლარს;

6. დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ქარიანში გამოვლინდა საქართველოს კანონი, ნარჩენების მართვის კოდექსის 35 მუხლის (პირველი) ნაწილის დარღვევა, კერძოდ, მუნიციპალური, არასახიფათო ნარჩენების დაწვა ღია წესით, რომლის გამოვლენის საფუძველზე მუნიციპალური ინსპექციის მიერ სამართალდამრღვევის მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და დამრღვევი ადმინისტრაციული წესით დაჯარიმდა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;

7. საქართველოს სივრცითი დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 141[8] პრიმა მუხლის („უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლისა და დამხმარე შენობა-ნაგებობის მშენებლობის კანონიერება") საფუძველზე, მუნიციპალური ინსპექციის მიერ გაცემულია 13 (ცამეტი) ცნობა, რომელიც ადასტურებს 2023 წლის 01 დეკემბრამდე უნებართვოდ ან პროექტის დარღვევით განხორციელებულ მშენებლობებს. აღნიშნული ცნობების საფუძველზე ქალაქ დმანისის საზღვრებში მცხოვრებ მოქალაქეებს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" მეშვეობით დაურეგისტრირდათ როგორც ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები, ისე დამხმარე შენობა-ნაგებობები;

8. დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შემუშავდა პროექტი, რომელიც მოიცავს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავების, ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, განაკვეთების განსაზღვრისა და მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციას. აღნიშნული პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2023 წლის 28 ივლისის №21 დადგენილებით მიიღო. დადგენილების შესაბამისად, მუნიციპალურ ინსპექციას დაევალა იურიდიულ პირებთან, საწარმოებთან, ორგანიზაციებთან, დაწესებულებებთან და ინდივიდუალურ მეწარმეებთან დასუფთავების მოსაკრებლის გადახდასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების გაფორმება, აგრეთვე დავალიანებების დროული ამოღება.

9. 2025 წლის იანვრიდან დეკემბრის მდგომარეობით დასუფთავების მოსაკრებლის ამოღებული თანხა შეადგენს 59 743 (ორმოცდაცხრამეტი ათას შვიდას ორმოცდასამი) ლარს.

10. ქალაქ დმანისში სამშენებლო ნარჩენებით გარემოს დაბინძურების შემთხვევების პრევენციის მიზნით, მუნიციპალური ინსპექციის ინიციატივით ქალაქის შვიდ სხვადასხვა ლოკაციაზე განთავსდა გარემოს დაბინძურების ამკრძალავი საინფორმაციო ბანერები.

11. დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის სამსახურის მიერ 2025 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, გამოვლენილი სხვადასხვა სამართალდარღვევების შედეგად ადგილობრივ ბიუჯეტში ჩარიცხული და ჩასარიცხი ჯარიმებისა და დასუფთავების მოსაკრებლის საერთო ოდენობა შეადგენს 207,993 (ორას შვიდი ათას ცხრაას ოთხმოცდაცამეტი) ლარს.

## 6. დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახური

### 1. შიდა აუდიტორული შემოწმებები

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 2025 წლის სამუშაო გეგმის შესაბამისად, საანგარიშო წლის განმავლობაში სულ დაგეგმილი იქნა 5 შიდა აუდიტორული შემოწმება მერიის სტრუქტურულ ერთეულებში; ფაქტობრივად ჩატარდა 5 შიდა აუდიტორული შემოწმება. შიდა

აუდიტორულ შემოწმებებზე შედგენილი იქნა შიდა აუდიტორული ანგარიშები, რომლებშიც აისახა შიდა აუდიტის ობიექტებში ფაქტობრივად არსებული მდგომარეობა, განხორციელდა რისკების შეფასება და გაცემული იქნა რეკომენდაციები ფაქტობრივად არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია წლის განმავლობაში განხორციელებული შიდა აუდიტორული შემოწმების შესახებ ვადის მითითებით:

- არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის "დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი'-ს მიერ' 2022 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის შესახებ (თებერვალი-მარტი);
- დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ 2023 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში გაწეული საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის შესახებ (მაისი-ივნისი);
- არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „დმანისის სერვის ჯგუფი"-ს მიერ 2022 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 1 ივლისამდე პერიოდში გაწეული საქმიანობის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის შესახებ (ივლისი-აგვისტო);
- არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „დმანისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სამსახური"-ს მიერ 2022 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 1 იანვრამდე პერიოდში გაწეული საქმიანობის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის შესახებ;
- დმანისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური მიერ დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „გაზეთი დმანისი"-ს მიერ 2024 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 1 ივლისამდე პერიოდში გაწეული საქმიანობის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის შესახებ.

სულ საანგარიშო წლის განმავლობაში მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტორული შემოწმებების შედეგად შედგენილი ანგარიშების მიხედვით გაიცა 22 რეკომენდაცია; შიდა აუდიტის ობიექტებიდან დადგენილი წესით გამოთხოვილი იქნა შიდა აუდიტის მიერ გაცემული (შეთანხმებული) რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმები, რომელთა შესრულების მონიტორინგი განხორციელდება 2026 წლის დამტკიცებული სამუშაო გეგმის შესაბამისად განსაზღვრული გრაფიკის მიხედვით.

2025 წლის სამუშაო გეგმის შესაბამისად გაწერილი ღონისძიებები შესრულებულია სრულად.

**2. მონიტორინგი**

შიდა აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციებისა და შეთანხმებულ რეკომენდაციათა სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი საანგარიშო წელს განხორციელდა 5-ჯერ; მათ შორის:

• ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ომარ მუმლაძის სახელობის დმანისის სპორტული სკოლა"-ის მიერ 2022 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის შესახებ აუდიტორული ანგარიშის მიხედვით გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის თაობაზე;

• „დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ 2023 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში გაწეული საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის შესახებ" აუდიტორული ანგარიშის მიხედვით გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის თაობაზე;

• „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „დმანისის სერვის ჯგუფი"- ს მიერ 2022 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 1 ივლისამდე პერიოდში გაწეული საქმიანობის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის შესახებ" აუდიტორული ანგარიშის მიხედვით გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის თაობაზე;

• „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „დმანისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სამსახური“-ს მიერ 2022 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 1 იანვრამდე პერიოდში გაწეული საქმიანობის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის შესახებ“ აუდიტორული ანგარიშის მიხედვით გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის თაობაზე;

• „დმანისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური მიერ დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „გაზეთი დმანისი“-ს მიერ 2024 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 1 ივლისამდე პერიოდში გაწეული საქმიანობის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის შესახებ“ აუდიტორული ანგარიშის მიხედვით გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის თაობაზე;

საანგარიშო წელს განხორციელებული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილში:

| სულ გაცემული რეკომენდაციები | რეკომენდაციების რაოდენობა, რომელთა მონიტორინგიც განხორციელდა | შესრულებული | ნაწილობრივ შესრულებული | შეუსრულებელი |
|---|---|---|---|---|
| 22 | 22 | 7 | 7 | 8 |
| %-ლი მაჩვენებელი | 100 | 32 | 32 | 36 |

რეკომენდაციის შესრულების მონიტორინგის შედეგად ჩამოიწერა 7 რეკომენდაცია (32 %); კონტროლზე დარჩა შესასრულებლად - 15 რეკომენდაცია (68 %).

**3. ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის შესახებ**

ანგარიშში წარმოდგენილი მონაცემები შეიცავს ინფორმაციას დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის შესახებ. შიდა აუდიტის სამსახურმა შეაფასა სისტემა ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის ჭრილში ქვემოთ წარმოდგენილი კრიტერიუმების გათვალისწინებით. კერძოდ:

**3.1. დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული მიზნების მთავრობის მიზნებთან შესაბამისობა**

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის განკარგულებით გ-109.109253583 მოწონებული იქნა დმანისის მუნიციპალიტეტის 2026- 2029 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი, რომელშიც პრიორიტეტულ მიმართულებებად განისაზღვრა შემდეგი:

- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლება;
- ინფრასტრუქტურა;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- განათლება;
- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

წარმოდგენილი პრიორიტეტული მიმართულებები შესაბამისობაშია ქვეყნის 2026- 2029 წლების ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტთან.

**3.2. სტრატეგიული/საშუალო ვადიანი სამოქმედო გეგმის საფუძველზე, თითოეული პროგრამისთვის (ქვეპროგრამისთვის) განსაზღვრული მიზნები არის თუ არა კონკრეტული (Specific), გაზომვადი (Measurable), მიღწევადი (Achivable), შესაფერისი (Relevant) და დროში გაწერილი (Time Bound).**

## 7. დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური

მუნიციპალიტეტში ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მიმართულებით განხორციელებულ საქმიანობაზე პასუხისმგებელია ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური. ასევე, პასუხისმგებელია მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური მომსახურების მუნიციპალური პროგრამების შემუშავებასა და მათი განხორციელების პროცესების კოორდინაციასა და მონიტორინგზე.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24 - ე მუხლისა და დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" მე-3 მუხლისა და მე-4 პუნქტის შესაბამისად წარმოგიდგენთ მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის წლიურ ანგარიშს.

სამსახური წარმოადგენს მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულს, რომელშიც დასაქმებულები არიან ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მუნიციპალური პროგრამების განხორციელებაზე პასუხისმგებელი თანამშრომლები, ასევე, სამსახურის დაქვემდებარებაშია ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება (მეორადი სტრუქტურული ერთეული). გასულ წელს სამსახურს დაემატა მეორე განყოფილება - ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის განყოფილება.

დმანისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში სოციალურ პროგრამებზე გამოყოფილი იყო 2 839 760 ლარი, რაც მთლიანი ბიუჯეტის **7.8 %** შეადგენს. აღნიშნული ბიუჯეტით ხდებოდა 21 ქვეპროგრამის ადმინისტრირება.

2025 წლის სოციალური ბიუჯეტი წინა წელთან შედარებით გაზრდილი იყო 563 510 ლარით, რაც 20%-მდე ზრდას შეადგენს.

მიმდინარე წელს გაიზარდა სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსება, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ბავშვიანი ოჯახების დაფინანსების საკითხებს.

შემუშავდა ახალი პროგრამები, რომლებიც ითვალისწინებს შშმ პირების დახმარებასა და ცნობიერების ამაღლებას, ასევე, მარჩენალდაკარგული, ობოლი ბავშვების, განსხვავებული საჭიროების მქონე ბავშვების სხვადასხვა კომპონენტებით დახმარებას და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარებას.

წელს თანადაფინანსებით სოციალურ პროგრამებს დაემატა ,,დმანისის ბავშვთა დღის და ადრეული განვითარების ცენტრის თანადაფინანსების მუნიციპალური ქვეპროგრამა", რომელმაც საცდელ რეჟიმში მარტში დაიწყო მუშაობა, ხოლო ივნისის თვეში გადავიდა ოფიციალურ რეჟიმში. შენობა გარემონტდა და აღიჭურვა შესაბამის სტანდარტებზე და გათვლილია 20 შშმ 18 წლამდე ბენეფიციარზე. ცენტრში დასაქმებულია გადამზადებული კადრები, სისტემატურად მიმდინარეობს თანამშრომელთა გადამზადებისა და სწავლების პროცესი. ცენტრის გახსნის ოფიციალურ ცერემონიას ესწრებოდნენ ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები და შესაბამისი სტრუქტურებიდან მოწვეული სტუმრები ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან ერთად. ვინაიდან ასეთი მომსახურება სრულად ახალია, ცენტრში დასაქმებული კადრები და აღსაზრდელთა მშობლები მუდმივად გადიან სასწავლო კურსებს. ოქტომბრის

თვეში მშობლების და ცენტრის პედაგოგებმა გაიარეს სწავლების კურსი ,,პოზიტიური მშობლობა" და გადაეცათ შესაბამისი სერთიფიკატები.

წელს ასევე დაიწყო კიდე ერთი ახალი სოციალური სერვისის განხორციელება ,,პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამა", რომელიც საკრებულოს დადგენილებით დამტკიცდა. დმანისის მუნიციპალიტეტში მიმწოდებელ ორგანიზაციად დარეგისტრირდა ა(ა)იპ ,,სტუდია ეი დი სი", გადამზადდა 6 პერსონალური ასისტენტი და მომსახურებას ღებულობს 12 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი (10 - სპეციალიზებული, 2 - რეგულარული). მათი მუშაობის მონიტორინგს ახორციელებს მერის ბრძანების შესაბამისად სამსახურის ხელმძღვანელი.

პროგრამა იმდენად წარმატებული და შედეგიანი გახდა, რომ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების მიერ გადამზადდა 15 პერსონალური ასისტენტი, ხოლო 2026 წელს მოთხოვნა პროგრამაში ჩასართავ ბენეფიციართა რაოდენობა 30 (ოცდაათი) შშმ პირიამდე გაიზარდა და წარედგინა ჯანდაცვის სამინისტროს.

სამსახური ახორციელებს პერიოდულად ა(ა)იპ ,,დმანისის სათნოების სახლის მონიტორინგს, კვების ნორმას, სისტემატურად ღებულობს ინფორმაციას რომელი პირი არ გამოცხადდა საკვების მისაღებად, ესწრება ცენტრში გამართულ ღონისძიებებს (ბავშვთა დაცვის დღე, ხანდაზმულთა დღე, სააღდგომო და სხვა ღონისძიებები), რომელებიც ცენტრს აქვს გაწერილი. სათნოების სახლში მომსახურება ღებულობს 90 ბენეფიციარი.

სამსახური ჩართულია სააღდგომო და ნოვრუზ ბაირამის დღესასწაულებთან დაკავშირებულ ღონისძიებებში, ავლენს იმ ოჯახებს, რომლებსაც მერიის სასაჩუქრე ნობათი გადაეცემათ.

მერიაში შემოსული მოთხოვნის შესაბამისად, სამსახური უზრუნველყოფს შშმ პირთა ეტლებით გადაადგილებას. დმანისის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, რომლებსაც ესაჭიროებოდათ გადასაადგილებელი ეტლები (6 შშმ პირი), საზოგადოება ,,ილია მართალმა" საჩუქრად გადასცა მათ საჭიროებებზე მორგებული გადასაადგილებელი ეტლები.

წარმატებით დასრულდა ,,ქალთა სოციალურ - ეკონომიკური გაძლიერების ქვეპროგრამა მათთვის დასაქმებისა და სამეწარმეო უნარების და ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საკითხებზე ცნობიერების გაზრდის გზით (პროგრამული კოდი 06 02 09)". წელს ფინანსური მხარდაჭერა მიიღო 4 - მა ქალმა, მერიაში შემოსული განაცხადების მიხედვით (მოთხოვნის შესაბამისად) დაფინანსდა 16 ქალის სასწავლო კურსი ,,კულინარიის" მიმართულებით. სწავლება ჩატარდა ა(ა)იპ ,,მხარდაჭერის სახლში" და ტრენერის გადაწყვეტილებით, სასწავლო პროცესში ჩაერთო 4 პირი ,,მხარდაჭერის სახლიდან".

ბავშვთა განყოფილების მიერ "მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამის" ფარგლებში დავეხმარეთ 3 ოჯახს, საოჯახო ტექნიკით და 88 ბავშვს სასკოლო ტანსაცმლით, ხოლო ქველმოქმედებით დაფინანსდა 9 ოჯახი საოჯახო ტექნიკითა და ნივთებით.

წლის განმავლობაში მაღალმთიან საკითხებზე მომუშავე საბჭოს კომისიამ ჩაატარა 20 კომისიის სხდომა; მაღალმთიანი სტატუსი მიენიჭა 241 პირს; სტატუსი შეუწყდა 448 პირს: რეესტრით შეუწყდა 236 პირს, ხოლო მონიტორინგის საფუძველზე - 212 პირს; აქტიური სტატუსი სარგებლობს 11 741 პირი.

2025 წლის 20 მარტს სამსახურის ხელმძღვანელის მიერ წარდგენილ იქნა ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნულ ასოციაციაში ორი საუკეთესო პრაქტიკის განაცხადი - ,,თაობებს შორის ტექნოლოგიური ხიდი" და ,,მუნიციპალური სერვისების გავლენის შეფასების მექანიზმი". ორივე *<u>პროექტმა მოიპოვა ათეას ჯილდო, როგორც წლის საუკეთესო პრაქტიკა (პროექტების ავტორი - მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის უფროსი მეგი ედიბერიძე)</u>*

„ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და კაცთა თანასწორობის შესახებ“ ქარტიაზე ხელმომწერი მუნიციპალიტეტი დმანისის მუნიციპალიტეტიც გახდა, რაც დამტკიცდა დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 28 იანვრის განკარგულებით (გ - 109.109250289).

სამსახურის უშუალო ინიციატივით ,,ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს“ წარედგინა 2 მემორანდუმი (მიღებულია თანხმობა საბჭოსაგან და მემორანდუმები ხელმოწერილია):

1. ა(ა)იპ ,,საქართველოს ახალგაზრდული მედია კავშირთან“, რომლის ფარგლებში დაგეგმილია დმანისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები შშმ სტატუსის მქონე ქალებისა და მამაკაცებისთვის, სამშვიდობო მისიებში დაჭრილ ჯარისკაცთა, ომის ვეტერანთა და ონკო საზოგადოების წარმომადგენელთა სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშემწყობ ღონისძიებებში მონაწილეობა;
2. „მხარდაჭერის სახლს“ და იგპ ქალთა ასოციაცია „თანხმობასთან“, რომლის მიზანს წარმოადგენს დმანისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ჯანსაღი დაბერების დღის ცენტრის ბენეფიციარებისათვის სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშემწყობ ღონისძიებებში მონაწილეობა.

სამსახური ასრულებს მერის სამსახურებრივ დავალებებს და კომინიკაციაშია მუდმივად მერიაში მოქმედ სამსახურებთან, დაფუძნებულ ა(ა)იპებთან, მერის წარმომადგენლებთან ადმინისტრაციულ ერთეულებში.

სამსახურის თანამშრომლები საჭიროების მიხედვით ესწრებიან საჭირო ტრეინინგებს.

წელს მერიის სოციალური სამსახურის ინიციატივით ფართო საზოგადოების წინაშე საბჭოს არსებობის მანძილზე პირველად წარედგინა მოქმედი ,,დმანისის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებებზე მომუშავე საბჭოს“ ანგარიში.

**სოციალური ქვეპროგრამების 2025 წლის ანგარიში**

| **პროგრამული კოდი** | **პროგრამის დასახელება** | **2025 წლის გეგმა** | **2025 წლის ფაქტი** | **მოსარგებლეთა რიცხვი** |
|---|---|---|---|---|
| **06 02** | **მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა** | **2 839 760** | **2 798 898** | **9 329 (მიახლოებით)** |
| **06 02 01** | **მძიმე დიაგნოზის მქონე და სხვადასხვა სოციალური ფენის მოსახლეობის სოციალური დაცვა** | **770 000** | **754 525** | **2 934** |
| 06 02 01 01 | ერთჯერადი ფინანსური დახმარების მუნიციპალური ქვეპროგრამა | 507 000 | 507 000 | 2 518 |
| 06 02 01 02 | დიალიზის საჭიროების მქონე პირების დახმარების მუნიციპალური ქვეპროგრამა | 40 600 | 40 600 | 18 |
| 06 02 01 03 | ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა სპეციფიკური კვების პროდუქტებით დახმარების მუნიციპალური ქვეპროგრამა | 12 000 | 9 000 | 4 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 06 02 01 04 | მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირების დახმარების ქვეპროგრამა | 88 000 | 87 000 | 52 |
| 06 02 01 05 | მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების ქვეპროგრამა | 9 400 | 5 000 | 20 |
| 06 02 01 06 | 18 წელს გადაცილებული შეზღუდული შესაძლებლობის ქალთა და 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარების ქვეპროგრამა | 15 600 | 14 600 | 125 |
| 06 02 01 07 | მარჩენალ დაკარგული, დედ -მამით ობოლი ბავშვების სოციალური დახმარების" ქვეპროგრამა | 15 600 | 15 600 | 69 |
| 06 02 01 08 | ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის პროგრამაში ჩართული 0 - დან 18 წლამდე შშმ სტატუსის მქონე არასრულწლოვანი, ბავშვიანი ოჯახების ქირით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა | 11 048 | 11 048 | 2 |
| 06 02 01 09 | ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების საცხოვრებელი ფართის ქირით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა | 14 952 | 14 391 | 4 |
| 06 02 01 10 | ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის, დღის ცენტრის და ადრეული განვითარების ცენტრში რეგისტრირებული 0-18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვებისთვის განკუთვნილი ყოველთვიური სოციალური დახმარების ქვეპროგრამა | 25 800 | 25 800 | 14 |
| 06 02 01 11 | მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა | 30 000 | 24 486 | 91 |
| **06 02 02** | **ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით საწვავით (სათბობი შეშით ან ბიოსაწვავი „ბრიკეტით") უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამა** | **64 000** | **62 540** | **219** |
| **06 02 03** | **მოსახლეობის სამედიცინო ამბულატორიული, აუტიზმის სპექტრის მედიკამენტებით მომსახურება** | **1 310 000** | **1 308 856** | **2 854** |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 06 02 03 01 | სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო სტაციონარული, ამბულატორიული დახმარების მუნიციპალური პროგრამა | 1 098 300 | 1 098 066 | 1706 |
| 06 02 03 02 | აუტიზმის სპექტრის აშლილობათა მქონე ბავშვების რეაბილიტაციის სოციალური დახმარების პროგრამა | 10 000 | 9 495 | 4 |
| 06 02 03 03 | მოქალაქეთა მედიკამენტებით და საანალიზო ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა (06 02 03 03) | 186 000 | 185 663 | 1126 |
| 06 02 03 04 | 0 - დან 1 წლამდე ასაკის ბავშვების ხელოვნური კვების პროდუქტებით დახმარების ქვეპროგრამა | 15 700 | 15 632 | 18 |
| **06 02 06** | **ტრანსპორტით მომსახურების მუნიციპალური პროგრამა** | **448 600** | **426 603** | **3 000 ზე მეტი** |
| **06 02 08** | **ხანდაზმულთა შინმოვლა და ჯანსაღი დაბერება** | **40 000** | **39 952** | **102** |
| **06 02 09** | **ქალთა სოციალურ - ეკონომიკური გაძლიერების ქვეპროგრამა მათთვის დასაქმებისა და სამეწარმეო უნარების და ქალთა და მამაკაცთა საკითხებზე ცნობიერების გაზრდის გზით** | **25 000** | **24 924** | **20** |
| | დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის 2024 წლის ქვეპროგრამა | - | - | **168** |
| **06 02 10** | დმანისის ბავშვთა დღის და ადრეული განვითარების ცენტრის თანადაფინანსების მუნიციპალური ქვეპროგრამა | **42 000** | **42 000** | **15/20** |
| **06 02 11** | პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამა | **140 160** | **139 498** | **12** |

## 8. დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური

დმანისის მუნიციპალიტეტში განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო პოლიტიკას განსაზღვრავს დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპები:

- ა(ა)იპ ,,დმანისის სკოლამდელი აღზრდის სამსახური";
- ა(ა)იპ „დმანისის სამუსიკო სკოლა";
- ა(ა)იპ „დმანისის საგანმანათლებლო ცენტრი„;
- ა(ა)იპ „დმანისის საბიბლიოთეკო სამსახური";
- ა(ა)იპ „დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი";
- ა(ა)იპ „ომარ მუმლაძის სახელობის დმანისის სპორტული სკოლა".

2025 წელს, დმანისის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ, შიდა აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციის შესაბამისად, შემუშავდა სამსახურის ახალი დებულება და დეტალურად გაიწერა თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობები. ამოქმედდა ახალი მუნიციპალური ქვეპროგრამები.

კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისა და მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის წარმოჩენის მიზნით, ასევე, მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის პოლიტიკის ეფექტურად განხორციელებისათვის  განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის პროგრამათა/ქვეპროგრამათა განხორციელებისათვის საჭირო ბიუჯეტი შეადგენს:

- კულტურული ღონისძიებები - 302 000 ლარი;
- სპორტული ღონისძიებები - 140 700 ლარი;
- ახალგაზრდობის მხარდაჭერა - 171, 280 ლარი;
- პროფესიულ სტუდენტთა ხელშეწყობა - 15 200 ლარი;
- ზოგადი განათლების ხელშეწყობა - 4000 ლარი;
- ინიციატივების თანადაფინანსება - 10 000 ლარი;
- რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა- 200 000 ლარი;
- საგამომცემლო საქმიანობა - 55 000 ლარი.

**კულტურა**

2025 წელს დმანისის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტის - კულტურა, ახალგაზრდობა, სპორტი - ფარგლებში კულტურის სფეროს განვითარებისათვის და პროგრამათა/ქვეპროგრამათა განხორციელებისათვის გამოყოფილი ბიუჯეტი შეადგენდა 2 015 200 ლარს, აქედან:

- კულტურისა სფეროში მოქმედი ა(ა)იპების სუბსიდიამ შეადგინა - 1 669 100 ლარი;
- კულტურულმა ღონისძიებებმა - 302 000 ლარი.

**კულტურული ღონისძიებებიდან სამოქმედო გეგმის მიხედვით ჩატარდა:**

- სხვადასხვა სახალხო თუ საერთაშორისო დღეებისადმი მიძღვნილი აქტივობები (3 მარტი, 8 მარტი, ნოვრუზ ბაირამი, აღდგომა, პოლიციის დღე, ახალი წელი და სხვა.) - აღნიშნულ დღესასწაულებთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის სახელით სოციალურად შეჭირვებულ ოჯახებს გადაეცა პროდუქტის სასაჩუქრე ყუთები, სოციალურად დაუცველ ოჯახებსა და  მრავალშვილიან დედებს  კი სასაჩუქრე ტკბილეულის კალათები და სიმბოლური საჩუქრები. აღნიშნული აქტივობისთვის გაიხარჯა - 48 138 ლარი (ნოვრუზ ბაირამის დღესასწაული - 16 308 ლარი, ქალთა დღე - 4095 ლარი, აღდგომის დღესასწაული 23 525 ლარი, პოლიციის დღე - 4210 ლარი);
- საქართველოს დამოუკიდებლობის დღე/გომარეთობის სახალხო დღესასწაული - ქალაქ დმანისის თავისუფლების ხეივანი და ცენტრალური სკვერი მოირთო საქართველოს დროშის ფერებში. სოფელ გომარეთში ადგილობრივების ჩართულობით აღინიშნა სახალხო დღესასწაული. ბიუჯეტი - 11 297 ლარი;
- ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე - ქალაქ დმანისის ცენტრალურ სკვერში მოეწყო ბავშვთა გასართობი სივრცე. პატარების განწყობაზე იზრუნეს მასკოტებმა და ანიმატორებმა. ბიუჯეტი - 13 000 ლარი;

- თეატრალური დადგმისათვის გრანტის სახით სსიპ „ზინაიდა კვერენჩხილაძის სახელმწიფო დრამატულ თეატრს“ გადავეცით 20 000 ლარი;
- ახალგაზრდობის დღე - 11 900 ლარი;
- სახალხო დღესასწაული  დმანისობა - ქალაქ დმანისის ცენტრში, მუნიციპალიტეტში მოქმედი ადმინისტრაციული ერთეულებისა და მოქმედი ააიპების ჩართულობით, მოეწყო სახალხო დღესასწაული. დაჯილდოვდნენ საპატიო დმანისელები. მუნიციპალიტეტში პირველად განხორციელდა ვარსკვლავის გახსნის ცერემონია - დამსახურებული მოღვაწის, ისტორიკოს-არქეოლოგის ჯუმბერ კოპალიანის ვარსკვლავის გახსნა. აღნიშნული პიროვნების ღვაწლის წარმოჩენისა და საზოგადოების წარმოდგენისთვის მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით შეიქმნა დოკუმენტური ფილმი - „ერის საგანძური“, ბიუჯეტი - 5000 ლარი.
- ტურიზმის განვითარებისათვის შპს ტურიზმის აკადემია ნიუკასთან თანამშრომლობით, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მხარდაჭერით, ქალაქ დმანისში ჩატარდა კულტურული ტურიზმის გიდის მოსამზადებელი 2 კვირიანი ინტენსიური სატრენინგო კურსი. პროგრამა გათვლი იყო ტურიზმის სფეროში ჩართულ პირებზე და  მოიცავდა: პიროვნული ზრდის მოდულებს (თვითგანვითარების უნარების გამოსამუშავებლად); ტურის დაგეგმარების სემინარებსას და რეგიონისთვის აქტუალური ტურისტული რესურსების შემსწავლელ სემინარებს. ტრენინგებში ჩაერთო 24 პირი. ბიუჯეტი - 1540 ლარი.
- ა(ა)იპ საქართველოს ეკოლოგიურ მიწათმოქმედთა ასოციაცია „სემა“-სა და პოლონეთის კორიჩინის მიწის მეგობართა საზოგადოების პარტნიორობით, პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს „პოლონეთის განვითარების თანამშრომლობის - polska pomoc" პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით, დმანისის მუნიციპალიტეტში განხორციელდა პროექტი „სოფლის ტურიზმის განვითარება დმანისის რეგიონში ადგილობრივი ტურისტული პროდუქტის შექმნის ინოვაციური მოდელის განხორციელების გზით“. პროექტი მოიცავდა როგორც გამოცდილების გაზიარების მასტერ-კლასებს, ასეე მცირე საგრანტო დაფინანსებებს. აღნიშნულის ფარგლებში პირველ ეტაპზე დმანისის წარმომადგენელი მეწარმეები, თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ პოლონეთში, სადაც გაეცნენ ადგილობრივ მეწარმეთა საქმიანობას, ტურიზმის განვითარებაში მათ ჩართულობას და ა.შ. მეორე ეტაპზე განხორციელდა დმანისელი მეწარმეების, ასევე დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის (მათ შორის ტურისტული საინფორმაციო ცენტრის) აღჭურვა ორგანიზაციული განვითარებისათვის საჭირო ინვენტარით, კერძოდ, წრეებს გადაეცათ სასწავლო-სამუშაო მასალები. პროექტის ფარგლებში მუნიციპალიტეტში განთავსდა 2 ლოკაციაზე ტურისტული რუკის საინფორმაციო დაფა, ხოლო 24 კულტურულ მემკვიდრეობის ძეგლთან საინფორმაციო დაფები. დამზადდა საინფორმაციო ბუკლეტები და სასაჩუქრე ნაკრებები ( ბლოკნოტი, მაისური, კალამი, ჩანთა), რომლებიც გადაეცათ პროექტში მონაწილე მეწარმეებს და მუნიციპალიტეტს შემდგომი გავრცელებისთვის.

პროექტის დასრულებისას ქალაქ დმანისში ჩატარდა მასტერკლასი, რომლის ფარგლებშიც პოლონელმა ექსპერტებმა ადგილობრივ მეწარმეებს ტურისტული პროდუქტის შექმნისა და მეწარმეობის მნიშვნელობის შესახებ გამოცდილება გაუზიარეს. მუნიციპალიტეტს საჩუქრად გადმოეცა ძეგლების შესახებ საინფორმაციო ბუკლეტები, ბლოკნოტები, მაისურები და ა.შ.

საბოლოო ჯამში  მუნიციპალიტეტში შეიქმნა თანამშრომლობის ქსელი “დმანისი - იმოგზაურე, დააგემოვნე, აღმოაჩინე”, რომელთა წევრებს, მათი წარმოებისა და მარკეტინგის გაუმჯობესებისათვის დაუფინანსდათ ინვენტარის შეძენისათვის საჭირო ხარჯი. პროექტს საბოლოო ჯამში ჰყავდა 28 ბენეფიციარი, აქედან 10 მეფუტკრე, 5 ჟოლოს მწარმოებელი, 5 საოჯახო სასტუმრო, 6 ხელნაკეთი ნივთების შემქმნელი.

- სპექტაკლი „ჰელადოსი“ - მუნიციპალიტეტის დაფინანსებით სკოლის მოსწავლეთათვის გაიმართა სსიპ აფხაზეთის ა/რ პროფესიული სახელმწიფო ინტეგრირებული თეატრის „აზდაკის დადგმული პექტაკლი. ბიუჯეტი - 5000 ლარი.
- საახალწლო ღონისძიება - ახალ წელთან დაკავშირებით საზეიმოდ აინთო ნაძვის ხე, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ადგილობრივი შემსრულებლები. საახალწლო ნაძვისხის, ქუჩებისა და ცენტრალური სკვერის მორთვისათვის შევისყიდეთ ახალი საახალწლო ინვენტარი.

გარდა ამისა, სოციალურად დაუცველ 200 ოჯახს გადაეცა საახალწლო ნობათის სასაჩუქრე ყუთი, საახალწლო სასაჩუქრე კალათებით, მუნიციპალიტეტის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის და მუნიციპალიტეტის მხარდაჭერისთვის დამდეგი ახალი წელი მივულოცეთ სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელ პირებს/ორგანიზაციებს. ბიუჯეტი - 129 715 ლარი.

- ძეგლების აღწერა - მუნიციპალიტეტის მასშტაბით დასრულდა კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნების ძეგლების აღწერა, მასალა მზადდება ცნობარ-კატალოგის გამოცემისთვის.
- ა(ა)იპ დმანისის სამუსიკო სკოლაში გაიხსნა გიტარის წრე, სადაც ირიცხება 18 მოსწავლე.
- რეაბილიტიცია ჩაუტარდა ა(ა)იპ დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის ადმინისტრაციულ და სასწავლო ფართს, ასევე ქალაქ დმანისის ცენტრალური ბიბლიოთეკას.

წლის განმავლობაში კულტურული ღონისძიების ხარჯი შადგენს 282,687.50 ლარს, აქედან საქონელი და მომსახურება - 139,757.50, სხვა ხარჯი - 107,930, გრანტი - 25 000 ლარი, სუბსიდია - 10 000. კულტურულ ღონისძებებში ნაშთი დარჩა 15,012.50 ლარი.

**სპორტი**

2025 წელს დმანისის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტის - კულტურა, ახალგაზრდობა, სპორტი - ფარგლებში სპორტის სფეროს განვითარებისათვის და პროგრამათა/ქვეპროგრამათა განხორციელებისათვის გამოყოფილი ბიუჯეტი შეადგენდა 956 600 ლარს, აქედან:

- სპორტის სფეროში მოქმედი ააიპების სუბსიდია - 815 900 ლარი;
- სპორტული ღონისძიებები - 140 700 ლარი.

**სპორტული ღონისძიებებიდან ჩატარდა:**

- სპორტის საერთაშორისო დღე - ჩატარდა შეჯიბრი მინი ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს 13-18 წლის სკოლის მოსწავლეებმა, ღონისძიებაში მონაწილეობდა 92 მოსწავლე.
- შუქრი ჩხეტიანის თასი - ფეხბურთის ტურნირი, სადაც მონაწილეობა მიიღეს დმანისის მუნიციპალიტეტში არსებულმა საფეხბურთო გუდებმა. ტურნირში მონაწილეობდა 84 ბიჭი.
- სასკოლო ლიგა - ფეხბურთში, ჩართული იყო 94 ახალგაზრდა, ღონისძიების ბიუჯეტი - 5400 ლარი.
- თავისუფლების თამაშები - საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, სასკოლო სპორტის ფედერაციასთან ერთად ჩატარდა ჩემპიონატი მინი ფეხბურთში, მონაწილეობას იღებდნენ 15 - 29 წლამდე ახალგაზრდები (112 ახალგაზრდა).
- სასკოლო სპორტული ოლიმპიადა - ფორმების შეძენისათვის გაიხარჯა 5148 ლარი.
- კამპანია არა ნარკოტიკს - ჩატარდა შეჯიბრი მინი ფეხბურთში, სადაც მონაწილეობას იღებდნენ მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებული გუნდები - 4990 ლარი.
- 20 სექტემბერი - სახალხო დღესასწაულზე „ დმანისობა 2025 '' გაიმართა შეჯიბრი ქართულ ჭიდაობაში (შემდეგ წონით კატეგორიებში: 65 კგ, -75 კგ და = 75 კგ - დაშვება 2 კგ) , მკლავჭიდში სამ წონით კატეგორიაში (მარჯვენა მკავი 65 კგ, -75 კგ და = 75 კგ - დაშვება 2 კგ) და ჭადრაკში. მონაწილეობა მიიღეს როგორც ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა ისე ჩამოსულმა სტუმრებმა.
- გრანტის სახით დაფინანსდა რაგბის წრე - 100 000 ლარი.

- სპორტული ღონისძიებებისათვის შეძენილი იქნა 7897 ლარის სპორტული ინვენტარი. სპორტული ღონისძიებების ქვეპროგრამის ფარგლებში „ნორჩი ფეხბურთელების ხელშეწყობის ქვეპროგრამის შესაბამისად" ყოველთვიურად ფინანსდება 33 შპს დინამოს აკადემიაში ჩარიცხული ფეხბურთელი. წლის განმავლობაში გაიხარჯა - 9900 ლარი.
- დასრულდა ა(ა)იპ ომარ მუმლაძის სახელობის დმანისის სპორტული სკოლის ცენტრალური დარბაზისა და განთიადის ჭიდაობის დარბაზის რეაბილიტაცია.
- წლის განმავლობაში სპორტული ღონისძიებების ხარჯი წარმოადგენს 138 285 ლარს.

2025 წლის ჩათვლით მუნიციპალიტეტის სპორტსმენებს ჰქონდათ მიღწევები, როგორც საქართველოს ასევე, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე:

- **კიკბოქსინგი** - 6 საქართველოს ჩემპიონატის პრიზიორი სპორტსმენი. აქედან 3 სპორტსმენი გახდა საქართველოს ჩემპიონი;
- **მკლავჭიდი** - 8 სპორტსმენი საქართველოს ჩემპიონატის პრიზიორი, ხოლო 1 სპორტსმენი ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი;
- **ძიუდო** - 1 საქართველოს ჩემპიონი ვეტერანებში, 2024 წლის საქართველოს ჩემპიონატის პრიზიორი ძიუდოში 1, ევროპის ჩემპიონატი ვეტერანებში, ძიუდო 1 ჩემპიონი, რომელიც ასევე გახდა მსოფლიო ჩემპიონატზე მეორე ადგილის მფლობელი;
- **კუდო** - 3 საქართველოს ჩემპიონი 1 პრიზიორი სპორტსმენი, 1 მსოფლიო თასის მფლობელი.

წარმატებულ სპორტსმენებზე სხვადასხვა ჩემპიონატზე მოპოვებული საპრიზო ადგილებისათვის, ერთჯერადი ფულადი ჯილდო გაიცა 23-ჯერ (აქედან, 2 სპორტსმენმა 2 ჯერ აიღო ერთჯერადი ფულადი ჯილდო).

**ახალგაზრდობა**

2025 წელს დმანისის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტის - კულტურა, ახალგაზრდობა, სპორტი - ფარგლებში ახალგაზრდობის განვითარებისათვის და პროგრამათა/ქვეპროგრამათა განხორციელებისათვის გამოყოფილი ბიუჯეტი შეადგენდა 181 280 ლარს, აქედან:

- ✓ ახალგაზრდობის მხარდაჭერა - 171 280 ლარი;
- ✓ ინიციატივების თანადაფინანსება - 10 000 ლარი.

**ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამა:**

1. წარჩინებულ სტუდენტთა და წარმატებული (პრიზიორი) სპორტსმენების წახალისების ქვეპროგრამის ფარგლებში, 2024 წლის შემოდგომის სემესტრული შეფასების მიხედვით, 6 თვის მონაცემებით, ყოველთვიური სტიპენდია გაიცა 55 წარჩინებულ სტუდენტზე, აქედან:

- მაგისტრანტი - 5;
- A შეფასების სტუდენტი (ბაკალავრი) - 28 სტუდენტი. აქედან ქართველი 12 (გოგო 11, ბიჭი 1) აზერბაიჯანელი 16 ( გოგო 13, ბიჭი 3);
- B შეფასების სოციალური სტატუსის მქონე სტუდენტი - 6 სტუდენტი; 6 აზერბაიჯანელი;
- 4+1 პროგრამით მოსარგებლე - 16 სტუდენტი, აქედან სოციალური სტატუსის მქონე 9 სტუდენტი.

2. 2025 წლის გაზაფხულის სემესტრის შეფასების მიხედვით ყოველთვიური სტიპენდია გაიცა 44 წარჩინებულ სტუდენტზე, აქედან:

- მაგისტრანტი - 3;

- A შეფასების სტუდენტი (ბაკალავრი) - 19 სტუდენტი. აქედან ქართველი 8 (გოგო 8) აზერბაიჯანელი 11 ( გოგო 10, ბიჭი 1);
- B შეფასების სოციალური სტატუსის მქონე სტუდენტი - 7 სტუდენტი; 7 აზერბაიჯანელი;
- 4+1 პროგრამით მოსარგებლე - 16 სტუდენტი.

ასევე, ყოველთვიური სტიპენდია გაიცა 22 წარმატებულ სპორტსმენზე.

3. ნიჭიერი ახალგაზრდობის ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 52 ახალგაზრდა, აქედან:

- სასწავლო ვიზიტისა და პროექტებში მონაწილეობისათვის - 5 ახალგაზრდა;
- საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობისათვის - 30 ახალგაზრდა;
- სპორტულ ჩემპიონატებზე მონაწილეობისათვის - 8 ახალგაზრდა;
- სკოლის წარმატებულად დასრულებისათვის ერთჯერადი ჯილდო გაიცა 9 მედალოსანზე;
- ახალგაზრდების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის ერთჯერადი ჯილდო გაიცა 5 პედაგოგზე.

ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, წლის განმავლობაში გაწეული ხარჯი შეადგენს 169 773.09 ლარს.

4. ინიციატივების თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში დმანისის მუნიციპალიტეტში განხორციელდა პროექტი „რობოტექნიკა უკეთესი მომავლისთვის", რომლის ფარგლებშიც 30 - მა მოსწავლემ გაიარა TEAM მიმართულების, რობოტექნიკის საბაზისო 4 თვიანი კურსი, ხარჯი 10 000 ლარი.

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებით, დასაქმებისათვის ახალგაზრდების უნარების გაძლიერების და სამოქალაქო ცხოვრებაში მათი ჩართულობის გაზრდის მიზნით, ჩაუტარდათ ტრენინგები:

- ახალგაზრდული საქმიანობა;
- ლიდერობა;
- ახალგაზრდობის ჩართულობა და მონაწილეობა.

სამსახურის სპეციალისტი მონაწილეობას იღებდა ახალგაზრდობის სააგენტოს მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა თემატიკის მუნიციპალურ შეხვედრებზე. მონაწილეობა მივიღეთ სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს და ევროკავშირის მიერ ორგანიზებული საგრანტო პროექტში, რომელიც მიზნად ისახავდა ახალგაზრდების უნარების გაძლიერებას მათი შემდგომი დასაქმებისთვის, ახალგაზრდული მუშაკების ტრენერებად და მენტორებად გადამზადებას. აგრეთვე, ახალგაზრდული ორგანიზაციების, საგანმანათლებლო დაწესებულებების, დასაქმების სააგენტოებისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ქსელის შექმნას, რაც დაეხმარება დაინტერესებულ მხარეებს საერთო საგანმანათლებლო რესურსების გამოყენებაში, გამოცდილების გაზიარებასა და პოლიტიკის დიალოგის ჩამოყალიბებაში. პროექტი სამი წლის განმავლობაში განხორციელდება და მოიცავს მრავალფეროვან აქტივობებს, როგორებიც არის ტრენეთა ტრენინგი ახალგაზრდული მუშაკებისთვის, სასწავლო ვიზიტები, პოლიტიკის დიალოგის სამუშაო შეხვედრები და სხვა. აღნიშნული პროექტის ერთ-ერთი სამუშაო მიმართულება იყო - პოლიტიკის დიალოგის შეხვედრების ორგანიზება, რომლის ფარგლებშიც პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად ვიმსჯელებთ ახალგაზრდული საქმიანობისა და ამ პროცესში ჩართულ უწყებებს შორის კოორდინაციის გამოწვევებსა და მოგვარების გზებზე.

დმანისის მუნიციპალიტეტის მერის ახალგაზრდულ სათათბიროსთან ერთად განხორციელდა ახალგაზრდობის საჭიროებების საჭიროებების, ინტერესების, შესაძლებლობების და გამოწვევების კვლევა, მიზნად ისახავს დმანისელი ახალგაზრდობის პრობლემების იდენტიფიცირებას, შესაძლებლობების და საჭიროებების გაგებას; კვლევის ფარგლებში ჩატარდა 31 სოფლის ახალგაზრდასთან პირისპირ შეხვედრა და გამოკითხვა. მიმდინარეობს კვლევის შედეგების დამუშავება.

წლის ბოლოს, ახალგაზრდობის სააგენტოს მიერ გამართულ ახალგაზრდული საბჭოების ეროვნულ ფორუმზე და წლის საუკეთესო ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს გამოვლენის და დაჯილდოების ცერემონიაზე დმანისის მუნიციპალიტეტის მერის ახალგაზრდულმა სათათბირომ მოიპოვა ჯილდო ნომინაციაში „ ეფექტიანი პროექტები“.

**განათლება**

2025 წელს, დმანისის მუნიციპალიტეტის განათლების პრიორიტეტის ფარგლებში პროგრამათა/ქვეპროგრამათა განხორციელებისათვის საჭირო ბიუჯეტი შეადგენდა 3 097 100 ლარს, აქედან საკუთარი შემოსავლები 2 048 900ლარი, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები - 1 048 200. აქედან პროგრამულად:

- სკოლამდელი განათლების დაწესებულებების ფუნქციონირება - 1 819 600 ლარი;
- პროფესიული განათლების ხელშეწყობა - 225 300 ლარი;
- საჯარო სკოლების დაფინანსება - 1 052 200 ლარი.

1. ხარისხიანი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, სკოლამდელი დაწესებულების ფუნქციონირებისათვის გამოყოფილმა სუბსიდიამ შეადგინა 1 819 600 ლარი. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ირიცხებოდა 415 აღსაზრდელი, აქედან ქართველი 215, აზერბაიჯანელი 200. აღსაზრდელი ( 211 გოგო, 204 ბიჭი, სპეციალური საჭიროების მქონე 1). 2025 წელს:

- აზერბაიჯანული თემით კომპაქტურად დასახლებულ ორ დიდ სოფელში ამამლოსა და ირგანჩაიში დასრულდა სტანდარტული საბავშვო ბაღების მშენებლობა;
- ა(ა)იპ დმანისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სამსახურსა და იაპონიის საელჩოს შორის ხელი მოეწერა საგრანტო ხელშეკრულებას, რომლის ფარგლებში 2026 წელს დაიწყება სოფელ ზემო ოროზმანში ალტერნატიული სათემო საბავშვო ბაღის მშენებლობა;
- გაიზარდა თანამშრომელთა ხელფასები;
- განახლდა სასწავლო-სააღმზრდელო ინვენტარი;
- საბავშვო ბაღებში განხორციელდა ჰასპის ვერიფიკაცია.

2. პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ორი ქვეპროგრამა: ა(ა)იპ დმანისის საგანმანათლებლო ცენტრის ფუნქციონირება და და პროფესიულ სტუდენტთა ხელშეწყობის ქვეპროგრამა.

ა(ა)იპ დმანისის საგანმანათლებლო ცენტრში 2024-2025 სასწავლო წელს ირიცხებოდა 182 მოსწავლე, აქედან 2025 წლის ივნისის თვეში ინგლისური ენის ერთწლიანი სასწავლო კურსი წარმატებით დაასრულა 94 მოსწავლემ, ხოლო ქართული ენის კურსი წარმატებით დაასრულა 68 მოსწავლემ.

2025 წლის სექტემბრიდან განახლდა საბუთების მიღება და ცენტრში ირიცხება 178 მოსწავლე (ქართველი 34, აზერბაიჯანელი 144).

ცენტრის ფუნქციონირებისათვის 2025 წლის სუბსიდია შეადგენდა 210 100 ლარს.

**„პროფესიულ სტუდენტთა ხელშეწყობის ქვეპროგრამით“**, ისარგებლა 45-მა მოქალაქემ:

- შვეიცარიულ აგრარულ სკოლა კავკასიაში წლიური სასწავლო გადასახადით მოსარგებლე ბენეფიციარის რაოდენობა - 1;
- ერთჯერადი 300 ლარიანი ფულადი წახალისებით მოსარგებლე ბენეფიციარის რაოდენობა - 44.

პროფესიულ სასწავლებლებში ჩარიცხულ სტუდენტებზე გაიხარჯა 15 200 ლარი.

3. 2025 წელს, ზოგადი განათლების ხელშეწყობის მიზნით, ამოქმედდა ქვეპროგრამა ერთწლიანი **„დმანისის მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლების წახალისება“,** რომელიც გულისხმობს დმანისის მუნიციპალიტეტის არაქართულენოვან სკოლაში „ქართული, როგორც მეორე ენის“ საგნობრივი პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პედაგოგთა ყოველთვიურ წახალისებას. აღნიშნული ქვეპროგრამით ისარგებლა 5-მა პედაგოგმა. ხარჯი - 3500 ლარი.

4. საჯარო სკოლების დაფინანსების პროგრამის ფარგლებში, დელეგირებული უფლებამოსილების შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტში განხორციელდა მოქმედი საჯაროს სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველყოფას ქვეპროგრამა და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაცია:

- დასრულდა საჯარო სკოლების რეაბილიტაცია და სწავლა განახლდა სოფელ მაშავერაში, სოფელ დიდ დმანისსა და სოფელ ბოსლებში;
- მიმდინარეობს სოფელი განთიადის (4 352 806 ლარი), პატარა დმანისის (1 272 822 ლარი), ზემო ოროზმანისა (6 174 602 ლარი) და სოფელი საფარლოს (4 322 916 ლარი) საჯარო სკოლების მშენებლობა;
- მცირე რეაბილიტაციები ჩაუტარდა ირგანჩაის საჯარო სკოლას, კერძოდ შემოიღობა სკოლის ტერიტორია ( 136 244 ლარი), ხოლო ამამლოსა (71 281 ლარი) და გომარეთის (91 786 ლარი) საჯარო სკოლებში მიმდინარეობს სპორტული დარბაზების იატაკის რეაბილიტაციის პროცესი.